მაცნე
სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

N15 (9266) 31 მაისი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

გახანდილოზული 26 მაისი

2

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

4

ინფრასტრუქტურული სამუშაოები სრულდება

4

ივნისის შუა რიცხვებიდან გარევაჭრობა აღარ უნდა იყოს!

47 წელი სიმღერასთან ერთად

5

თქვენ გვასწავლეთ სამშობლოს სიყვარული!

6

პროექტში გამარჯვებული დათო კვირცხალია სამტრედიას ესტუმრა

8

გრანდიოზული 26 მაისი

ნათია ნაცვლიშვილი

100 წელი გავიდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან! საიუბილეო თარიღი 26 მაისს სამტრედიაში უამრავი ლამაზი ღონისძიებით აღინიშნა. დილიდანვე ხსოვნის მემორიალი გვირგვინით შეამკეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ჩოხოსნებმა, მოქალაქეებმა და სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს. მოეწყო შეჯიბრი ველორბოლაში, სულ 31 მსურველი მონაწილეობდა, ახალგაზრდების გვერდით 80 წლის მოქალაქეც იდგა. მონაწილეებმა გამსახურდიას მოედნიდან, დედის ძეგლის მიმდებარედ აიღეს სტარტი, გარბენა გაიმართა ავტოსადგურამდე და ისევ უკან. პირველი ადგილის მფლობელი გიორგი ჯიქიძეა. მეორე ადგილზე ვარდენ კიკაჩეიშვილი, მესამეზე კი, გიორგი ხუჭუა გავიდა. სამივე მათგანი მუნიციპალიტეტის მერიამ თანხით დაასაჩუქრა. მომავლის პარკში გაიმართა ტრადიციული და ძალიან სახალისო შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში _ ფალავნობა. პირველ ადგილზე გიორგი კაკაძე გავიდა, მან ჭედილა დაიმსახურა. მეორე ადგილზე გოჩა ზაქრაძე გავიდა და ჯილდოდ 200 ლარი გადაეცა. მესამეზე _ ავთანდილ კუტალაძე და 100 ლარი გადაეცა, შეჯიბრის მთავარი მსაჯი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ავთანდილ თარგამაძე იყო, შუამავალი არბიტრი _ მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანებს შორის, ბადრი შენგელია და გვერდითი მსაჯი _ მრავალგზის საქართველოს ჩემპიონი, ბესარიონ შვანგირაძე. სამტრედიელი მხატვრების ფერწერული ტილოები და ძალზე საინტერესო ხელნაკეთი ნივთები მომავლის პარკში ყოველწლიურად გამოიფინება. წლეულსაც გამოიფინა გივი წვერავას, ზაზა ღურბელეიშვილის, ქრისტინა გიგინეიშვილის, გივი ფრანგიშვილის, იაკობ ჩხიკვაძის ნახატები. ხელნაკეთი ნივთები შორენა გვირჯიშვილმა წარმოადგინა. ასევე გამოფენილი იყო სამხატვრო გალერეას ფონდში დაცული ფერწერული ტილოები. ტრადიციას არც წლეულს ულალატეს. დღი სოფელ ბაშში გაიმართა და სოფელ ილორშიც. ბაშელებს ამ დღის გამართვის 18 წლოვანი ტრადიცია აქვთ, იგი ხანგრძლივი პედაგოგიური სტაჟის მქონე სპორტის პედაგოგის, ჯუმბერ ორმოცაძის თაოსნობით ტარდება. არც წლეულს ვუღალატეთ ტრადიციასო, გვეუბნება მერის წარმომადგენელი ბაშის თემში, რამაზ კაშია. მუნიციპალიტეტის მეზობელი სოფლებიდან 17 მონაწილე გამოვიდა საასპარეზოდ, ფინალში მონაწილეობდა ორი ბაშის და ორიც სოფელ ქვიტირის წარმომადგენელი. პირველ ადგილი არავის დაუთმო მკვიდრმა ჯუმბერ ნავერიანმა. მას გადაეცა გამარჯვებულის პრიზი_ ფაიფურის სტატუეტი ცხენის გამოსახულებით. სანახაობას დაესწრნენ მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია, მოადგილე დავით ბახტაძე და კულტურის სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე, პრიზები გამარჯვებულებს სწორედ მათ გადასცეს.

ილორში ასევე უნდა გამართულიყო შეჯიბრი ''ისინდისა'' და ''ცხენბურთშიც'', მაგრამ იპოდრომის თანამშრომლის, მურად ფანცხავას ტრაგიკული გარდაცვალების გამო მხოლოდ დღი გაიმართა. მონაწილენი ჩამოვიდნენ სამეგრელოს, გურიის, კახეთის, ბათუმის და თბილისის საცხენოსნო კლუბებიდან. 1200 მეტრზე რბოლაში (შერეული სისხლი) 1 ადგილი ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, ვარდენ კიკაჩეიშვილმა მოიპოვა, ხოლო 1200 მეტრზე რბოლაში (სუფთა სისხლი) 1 ადგილი _ ზუგდიდის წარმომადგენელმა, საბა ეხვაიამ. 2400 მეტრზე რბოლაში (შერეული სისხლი) 1 ადგილის მფლობელია ახმეტის საცხენოსნო კლუბის წარმომადგენელი, ბაჩანა სიმონია. 3000 მეტრზე რბოლაში (სუფთა სისხლი) გაიმარჯვა მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, ვარდენ კიკაჩეიშვილმა. ახმეტის ცხენოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელმა, გოგიტა სისაურმა სპორტული თასებით დააჯილდოვა ყველა პირველი ადგილის მფლობელი. შეჯიბრს დაესწრნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია, მოადგილე დავით ბახტაძე და მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები. ვალერიანე ფოცხვერიამ ფასიანი საჩუქრები გადასცა პირველი ადგილის მფლობელთ.

სიახლე იყო ადგილობრივ მეწარმეთა ფესტივალი-გამოფენა. იგი მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ გაიმართა. მეწარმეებმა თავიანთი ნაწარმი მათთვის განკუთვნილ მაგიდებზე გამოფინეს. სპექტრი მრავალფეროვანი და საინტერესო იყო: წარმოდგენილი იყვნენ: მეწარმე ვალერი კახიანი, რომელსაც დეკორატიული მცენარეების ნერგები გამოჰყავს. ხელით ნაკეთი, ორიგინალური ღვინის ჭურჭელი ლევან პაიჭაძემ წარმოადგინა, მეწარმე გია შენგელიას მაღაზია ''სილიბისტროს'' და საკონდიტრო ''ტორტიკოს''(ლანა შენგელია) პროდუქცია სხვადასხვა სტენდზე იყო წარმოდგენილი. თავისი კუთხე და ადგილი ჰქონდა სამტრედიელთა საყვარელ სამტრედიის ნაყინს. სოფელ მიწაბოგირაში ყვავილების სათბური აქვს გურამ კვანტალიანს, მისმა ვარდებმა ერთ-ერთი სტენდი დაამშვენა. კოოპერატივი ''ბებურჰანი'' (ვახტანგ შანიძე) იმდენად საუკეთესო თაფლს აწარმოებს, ამარაგებს თბილისში ღვინის სახლებს, ბარებსა და მაღაზიებს. ანა კიზივაძის მიერ წარმოდგენილმა ხელნაკეთმა თიხის ნივთებმა და სამკაულებმა მოწონება დაიმსახურა. ხათუნა სანადირაძისა და ლორენა ჩახუნაშვილის ჟელეს ტორტებმა ყურადღება მიიქციეს, ''გიორგი ადამიას მარანი'' ახალი ბრენდია. ბატონმა გიორგიმ წარმოადგინა ღვინო ''საფერე'', ასევე, ვაშლის სპირტიანი სასმელი კალვადოსი, ლეღვის არაყი და სხვა...

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტის წევრებმა ეროვნული დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ღია ცის ქვეშ, შენობის წინ გაიმართეს. გაიხსენესს 1918 წლის 26 მაისი, დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, ისაუბრეს თარიღის ისტორიულ მნიშვნელობაზე, საინტერესო მხატვრული კომპოზიციაც წარმოადგინეს და ბოლოს სიტყვა _ 100 წელი სანთლებით დაწერეს. ბოლოს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი ღია ცის ქვეშ გაიმართა, რომელზეც მოქალაქეებს სიტყვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერმა. ვალერიანე ფოცხვერიამ შეკრებილთ მნიშვნელოვანი დღე მიულოცა და უსურვა, მალე დამოუკიდებლობის დღე ქართველ კაცს სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ეზეიმოს. მაყურებლის წინაშე 'წარსდგნენ ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლების წარმომადგენლები, ინდივიდუალური შემსრულებლები სოსო ვეზდენი, მარიამ ტორონჯაძე, თათა ხუჭუა, ნინი თევზაძე და სხვა... პუბლიკა მუსიკის პედაგოგების ტრიომაც მოხიბლა.

ივნისის შუა რიცხვებიდან გარევაჭრობა აღარ უნდა იყოს!

ნათია ნაცვლიშვილი

საგანგებო თათბირი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში უკანონო გარევაჭრობის აკრძალვას მიეძღვნა. მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ სამტრედიის ბაზრობის შპს "არგოს" დირექტორი ია კოპალეიშვილი, პოლიციის უფროსი კახა კანდელაკი და ამ უწყების თანამშრომლები მოიწვია საკითხზე სამსჯელოდ. შეხვედრას დაესწრნენ გამგებლის მოადგილე დავით ბახტაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ ჯამბურია, მერიის სამსახურის უფროსები, იურისტი ნიკა სანაძე და აუდიტის სამსახურის ახალი უფროსი პაატა ხარებავა. დაისახა შესაბამისი ღონისძიებები და გადაწყდა, რომ ამ დღეებში შეიქმნება მუშა ჯგუფი, რომელსაც ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე უხელმძღვანელებს. ვალერიანე ფოცხვერიამ ამ ჯგუფში გაწევრიანებისკენ მოუწოდა მერიის წარმომადგენელს ქალაქ სამტრედიის ტერიტორიულ ორგანოში თენგიზ ცაგურიას და პრობლემის მოგვარების პროცესში პოლიციის დახმარება ითხოვა.

ვალერიანე ფოცხვერია: "ჩვენმა ხელისუფლებამ სათავეში მოსვლის პირველი დღიდანვე უმთავრეს მიზნად დავისახეთ გარევაჭრობის მოწესრიგება, მაგრამ ფაქტია, რომ არ გამოვიჩინეთ სათანადო სიმკაცრე, მოვერიდეთ საკითხის ძალადობრივი გზით გადაწყვეტას. მსგავსი პრობლემები მოგვარდა ჭიათურაში, გორსა და ქუთაისში. პოლიციის უფროსი იმიტომ მოვიწვიეთ, რომ ბაზრის ტერიტორიაზე ხდება ფულის აკრება, გავარკვიოთ, ვინ კრებს ამ ფულს? სად მიდის ეს თანხა და როგორ? ეს უკვე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაა. დაიწყეთ მოძიება, რა ხდება? ჩვენთვის მთავარია, ქუჩა გაიწმინდოს და მოქალაქეებს თავისუფალად გადაადგილების საშუალება მიეცეთ. ვიღიარებთ, გაუსაძლისი მდგომარეობაა ჭანტურიას ქუჩაზე, მოსახლეობა ითხოვს, ეს სიტუაცია განვმუხტოთ, ამ პრობლემის გამო ყველა მერიისკენ იშვერს ხელს. არ გავურბივარ პასუხისმგებლობას, პოლიციის წარმომადგენლები მოგიწვიეთ, რომ დაგვიდგეთ გვერდით!"

შეხვედრაზე ბუნკერების მიმდებარედ, ანტისანიტარიის პირობებში ყველის გაყიდვის ფაქტზეც გამახვილდა ყურადღება. მერმა განაცხადა, რომ მათთვის მთავარია, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონთან არ მოვიდეს წინააღმდეგობაში. დავით ბახტაძემ შეკითხვით მიმართა სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენელს, რატომ არ შეუძლიათ მათ, მიუთითონ გარემოვაჭრეებს, რომ იქ იყიდება ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი პროდუქტი. სამსახურის უფროსისგან მიიღო პასუხი, რომ ისინი კონტროლს ახორციელებენ მხოლოდ დარეგისტრირებულ სავაჭრო ობიექტებში. როგორც შეხვედრაზე ითქვა, უკანონო გარევაჭრობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს შსს-ს წარმომადგენელი.

"ამას წინათ, ისიც დამაბრალეს, თითქოს ხალხს წყალი გადავუკეტე, მე ვარ დევი და ნიკანორ მელია არის ცისკარა? მუშა ჯგუფი უკვე მუშაობას გააქტიურებს და ივნისის შუა რიცხვებიდან უკვე გარევაჭრობა აღარ უნდა იყოს!" _ აღნიშნა ვალერიანე ფოცხვერიამ.

დამოუკიდებლობის 100 წელი და შთამბეჭდავი ღონისძიება

ლევან გაბეჩავა

განსაკუთრებულად აღინიშნა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების საუკუნოვანი იუბილე როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

დამოუკიდებლობის აღიარების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა საბიბლიოთეკო გაერთიანებისა და წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მიერ ორგანიზებული ღონისძიება "თავისუფლება ლომია ხვედრია", რომელიც მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა.

შესრულდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისდროინდელი და ამჟამინდელი სახელმწიფო ჰიმნები.

ღონისძიება საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა ქალბატონმა ლამარა დუნდუამ გახსნა, რომელიც მიესალმა შეკრებილთ და ღირსშესანიშნავი თარიღი მიულოცა.

მომხსენებელმა, გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელმა მდივანმა ლევან გაბეჩავამ ვრცლად ისაუბრა დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შესახებ და ხაზი გაუსვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლების, ერის ღირსეულ შვილთა განუზომელ ღვაწლს ჩვენი ერის პოლიტიკური და კულტურული აღორძინების საქმეში.

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს, მოღვაწეებს ომახიანი, პატრიოტული ლექსებით მიმართეს და უთხრეს მადლობა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, ომახიანადვე დაგვარწმუნეს, რომ თითოეული ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილად აღიზრდება, რომ არავის დაუთმობენ მამულს და იქნებიან საუკუნეთა ქარცეცხლში გამოვლილი ჩვენი კულტურის, ტრადიციების მცველნი.

საინტერესო პროგრამა წარმოადგინეს მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგ ნინო ტონიას ხელმძღვანელობით.

აპლოდისმენტები დაიმსახურა ეწრის საჯარო სკოლის მოსწავლის, სოსო ვეზდენის მიერ შესრულებულმა სიმღერამ საქართველოზე.

ღონისძიებაში მონაწილის სტატუსით ჩაერთვნენ ღვაწლმოსილი მსახიობი, ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მზია ჩიხლაძე და საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი იზაბელა ლეგაშვილი.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიპეტიები გაიხსენა თავის გამოსვლაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ეროვნული მოძრაობის აქტიურმა წევრმა კობა ძიძიგურმა და მისი თანამოძმეების სახელით გულწრფელი მადლობა უძღვნა ღონისძიების ორგანიზატორებს, ახალგაზრდებს.

პატრიოტული ლექსით წარსდგა დარბაზის წინაშე საკრებულოს წევრი ტარიელ დვალიშვილი. არც მან დაიშურა თბილი სიტყვები ახალგაზრდებისადმი, ღონისძიების ორგანიზატორებისადმი.

საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპებზე გაამახვილეს ყურადღება და ახალგაზრდებს სამშობლოს სიყვარულისაკენ მოუწოდეს თავიანთ გამოსვლებში საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარმა სპეციალისტმა, პედაგოგმა ალექსანდრე თევზაძემ და ღვაწლმოსილმა პედაგოგმა შუქრი ურუშაძემ.

დამსწრეთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ყველაზე ნორჩი მონაწილეების, მესამე საჯარო სკოლისა და დიდი ჯიხაიშის გიორგი ნიკოლაძის სახელობის საჯარო სკოლის მოსწავლეების, ნიკოლოზ ნიკურაძისა და ირაკლი კიკვაძის მიერ ზეპირად, საოცრი პათოსით წაკითხულმა ლექსებმა. აღსანიშნავია, რომ ირაკლი კიკვაძე მოსწავლეახალგაზრდობის სახლის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების აქტიური მონაწილეცაა.

საღამოს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ლიზა კრავეიშვილი, ბადრი შენგელია, მერიის სამსახურების უფროსები ნატალია მანჯგალაძე, ლევან ახობაძე, საზოგადოება "სამტრედიელის" გამგეობის წევრი გია ბოჭორიშვილი.

საღამო მუნიუციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ ჯამბურიამ შეაჯამა. "იცხოვრეთ ისე, რომ თითოეულმა თქვენგანმა ღირსეული კვალი დატოვოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, საოცრად ლამაზი დღე იყო, ამაღლებული პათოსით ვტოვებ დარბაზს, გილოცავთ დამოუკიდებლობის საუკუნოვან იუბილეს". _ მიმართა ახალგაზრდებს, დარბაზში მყოფთ საკრებულოს თავმჯდომარემ და ხალხური, პატრიტული ლექსით დაასრულა გამოსვლა.

ლამაზად, შთამბეჭდავად აღინიშნა დამოუკიდებლობის საუკუნოვანი იუბილე საუკუნეზე უხნეს ბიბლიოთეკაში.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

თქვენი ჭირიმე ბავშვებო!

ლევან გაბეჩავა

ასე მიმართავდა თურმე ნორჩებზე უზომოდ შეყვარებული იაკობ გოგებაშვილი ცეროდენა გოგო-ბიჭებს. ის იაკობი, რომელმაც ქართველ ერს "დედაენა" უსახსოვრა და სამარადჟამოდ დაიდგა უკვდავების ძეგლი ერის მეხსიერებაში. უფრო ადრე კი, უფრო ადრე იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელთან და სხვა ღირსეულ მამულიშვილებთან ერთად, სიხარულით დათანხმებულა, ეთანამშრომლა ცნობილი ქველმოქმედის, მიხეილ გედევანიშვილისა და მისი მეუღლის დიდი მზრუნველობით გახსნილ საბავშვო ბაღთან, რომელიც პირველი იყო საქართველოს ისტორიაში.

ყოველივე კი ნათელი გამოხატულებაა იმისა, თუ როგორ ზრუნავდნენ და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ პატარებისათვის თვალსაჩინო ქართველი მამულიშვილები.

ნორჩი მოქალაქეების ზნეობრივ-მორალური აღზრდისკენ იყო მიმართული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ბავშვები ჩვენი მომავალი, ხვალინდელი დღეა!

ყველგან, ყველა ქვეყანაში ბავშვებისათვის სახელმწიფო ზრუნავს...

_ მართალია ეს მომწოდებლური სიტყვები ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დეკლარაციიდანაა, თუმცა, დღეს, 21-ე საუკუნეში სულაც არ უნდა იყოს საჭირო დეკლარირებული მოწოდებები საიმისოდ, რომ ბავშვებს ყოველწუთიერი, ყოველწამიერი მზრუნველობა, გაფრთხილება და ყურადღება ესაჭიროებათ მშობლების, ოჯახისა და საზოგადოებისაგან.

და მაინც, თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, სულაც არაა ძნელი შესამჩნევი, რომ ჩვენს პატარა სამშობლოში ისევ და ისევ არიან ოჯახები, ბავშვები, რომლებიც არასათანადო, არაკომფორტულ გარემოში ცხოვრობენ. მართალია, სოციალური პროგრამები, რიგი ორგანიზაციები თუ ცალკეული ქველმოქმედები მათ ყურადღების მიღმა არ ტოვებენ, თუმცა, რიგ შემთხვევებში ყველაფერს არასისტემური ხასიათი და პოლიტიკური შეფერილობა აქვს. რაც შეეხება, მსოფლიოში თურმე 130 მილიონზე მეტი ბავშვი ვერ (არ) სწავლობს სკოლებში მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების გამო.

განსაკუთრებით მძიმე და დამაფიქრებელია მსოფლიო სტატისტიკა, რომელიც ჯიუტად მეტყველებს, რომ დედამიწაზე ყოველწლიურად ასობით ბავშვი იღუპება ასევე მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების გამო.

სამწუხარო და დასაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოში, ჯერ კიდევ შენარჩუნებული რთული ეკონომიკური ვითარების გამო, ათობით ბავშვი დედის სითბოსა და ალერსს, ოჯახურ იდილიასაა მოკლებული, დედები კი საზღვარგარეთ არიან ოჯახების გადასარჩენად.

არის შემთხვევები, დედა-შვილს ერთმანეთი 5-7 წელი რომ არ უნახავთ... კომენტარი ზედმეტია მსგავს შემთხვევათა შეფასებისას.

და მაინც, ჩვენი, უფროსების ვალი და მისიაა, მაქსიმალურად ვეცადოთ ბავშვებს ბავშვობის წლები გავულამაზოთ, სითბო და სიყვარული ვაგრძნობინოთ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს 1 ივნისს ცივილიზებული მსოფლიო.

არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობა

მორიგი სხდომა გამართა 22 მაისს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭომ, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბახტაძე უძღვებოდა.

იგი თბილად მიესალმა საბჭოს წევრებს, მოწვეულ სტუმრებს და იმ ღონისძიებებზე ისაუბრა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და ეფექტური სამედიცინო მომსახურების კუთხით. საბჭოს მუშაობის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა დავით ბახტაძემ და მოწვეული სტუმრების, ბავშვთა დღის ცენტრის "ლამპარი", შპს "გვირილას", ააიპ "სახლი თანადგომას," საქართველოს წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალის წარმომადგენლებისაგან ამომწურავი ინფორმაციები მოისმინა, რომელთა მიზანს მათ წინაშე არსებული საკითხების შესაძლებლობების ფარგლებში გადაჭრა შეადგენდა.

მოისმინეს საბჭოს სხდომაზე მოწვეული სტუმრის სტატუსით მყოფი ლაშა ლორიას ინფორმაცია. მან ყურადღება გაამახვილა შშმ პირთა ზუსტი სტატისტიკის არსებობის აუცილებლობასა და რიგ სხვა საკითხებზე, მაგალითად, შშმ პირთა იურისტთან შეხვედრებზე, რათა ისინი უკეთ გაერკვნენ საკუთარ უფლებებში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ კობა ძიძიგურმა აღნიშნა, რომ როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლებისაგან შშმ პირებს ყურადღება არც შემდგომში მოაკლდებათ, რომ სამტრედიაში, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ამ კუთხით ყველაზე მეტი პროგრამა ხორციელდება და სრული თანადგომა გამოხატა ასეთი კატეგორიის ადამიანების მისამართით.

შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსმა ლევან ახობაძემაც იმ პროგრამებზე, სამომავლო გეგმებზე ისაუბრა ციფრებისა და ფაქტების მოხმობით, მერია რომ ახორციელებს.

საბჭოს სხდომაზე ითქვა, რომ მუნიციპალიტეტში 1400-მდე შშმ პირია. მათ შორის 18 წლამდე ასაკისაა 106, მკვეთრად გამოხატული შეზღუდვებით 315 პირი.

შშმ პირებთან მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სამადლობელი სიტყვები არ დაიშურეს ადგილობრივი ხელისუფლებისადმი შშმ პირთა მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის.

საბჭოს წევრებისაგან ინფორმაციების, გადასაჭრელ საკითხთა მოსმენის შემდეგ დავით ბახტაძემ შეკრებილთ მადლობა მოახსენა და მომავალ შეხვედრამდე დაემშვიდობა.

ჩვენი მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს სხდომა არ იყო ფასადური, ხდომა-სხდომისათვის, იგრძნობოდა, თვალშისაცემი იყო, რომ ადგილობრივი ხელისუფლება სიღრმისეულად ითავისებს შშმ პირთა ყველა პრობლემას და სრულ მზაობასაც გამოთქვამს მათ დასახმარებლად.

ლევან გაბეჩავა

ინფრასტრუქტურული სამუშაოები სრულდება

ნინო ნანიტაშვილი

"ეს არხი რომ გაიწმინდება, ჩაღრმავდება და კედლები კაპიტალურად მოეწყობა, წყალს მეტი გასავალი ექნება და ნინოშვილის ქუჩის მოსახლეობაც ამოისუნთქებს." _ ასე ფიქრობს ადგილობრივი ხელისუფლება, რომელსაც საკუთარი ეზოების დატბორვის მიზეზით მოსახლეობა აქამდე ხშირად მიმართავდა და შველას თხოვდა. 15 000 ლარად შესრულებულ სამუშაოს ნინოშვილის ქუჩაზე სასიკეთო შედეგები რომ ექნება, ამაზე გარანტიას ტენდერში გამარჯვებული კომანია იძლევა.

შარშან შემოდგომაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტებისთვის ცენტრალური ბიუჯეტის მიზნობრივი ფონდიდან გამოყოფილი თანხებით სრულდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები ოფეთის თემში. მუნიციპალიტეტის მერმა ამ დღეებში სოფელ წიაღუბანს სწორედ იმ მიზნით მიაშურა, კაცაძეების უბანში საავტომობილო გზის მიმდებარედ აღდგენილი ბოგირები მოენახულებინა.

ვალერიანე ფოცხვერიას არც გაკვირვებია და არც ზედმეტად მოსჩვენებია იმ სოფლის მოსახლეობის რეაქცია, რომელთა უმრავლესობას მოხუცები წარმოადგენენ. სოფლის ერთადერთი საავტომობილო გზა, რომელიც წიაღუბნელებს სამტრედიის ცენტრთან აკავშირებს, მართალია, მოიხრეშა, თუმცა სასურველ სტანდარტებს მაინც ვერ აკმაყოფილებს. მუნიციპალიტეტის მერი წიაღუბნელ ხანდაზმულ ქალბატონებს დაპირდა, ხელისუფლება მალე მათ სოფელში ბეტონის გზას დააგებს.

47 წელი სიმღერასთან ერთად

ნათია ნაცვლიშვილი

დათო კოპალეიშვილი სამტრედიის კულტურული ცხოვრების განუყრელი ნაწილია, მუსიკალური სამტრედიის ერთი ლამაზი შენაკადია. კოლორიტულმა ფიგურამ შემოქმედებითი ცხოვრების 47 წელი ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში გამართული კონცერტით "ჩემი ვნა" შეაჯამა. მომღერალი უყვარს მის ქალაქს, ამიტომაც შეივსო და გადაიჭედა დარბაზი, მის მოსასმენად, ძირითადად, თმებშეღერცხლილი ადამიანები მოვიდნენ, პედაგოგები, ექიმები, მომღერლები, ინჟინრები... ქალაქის კულტურული ელიტის წარმომადგენლები. ეკრანზე შემოქმედებითი წარსულის ნათელმა დღეებმა კინოკადრებად გაირბინეს, იყო ცრემლიც და ახალგაზრდული დღეების მონატრებაც, იყო ტაში და გულწრფელი ოვაცია, დიდი სიყვარულის გამოხატვა...

პირველად მშობლიურ ქალაქს ნონა ჭახნაკიას სიმღერით "სამტრედია" მოეფერა. ყველა სიმღერას ერთგვარი შესავლით წარადგენდა. როგორც შეკრებილთ აუწყა, ყველაფერი უცნაურად დაიწყო: არც უფიქრია სცენაზე ასვლაზე, სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მომავალ მეტყევე ინჟინერს მეგობრებმა ურჩიეს, მონაწილეობა მიეღო გადაცემაში "ჩვენ ვეძებთ ტალანტებს". ჟიურის შემადგენლობაში მუსიკათმცოდნეები, კომპოზიტორები და ესტრადის მომღერლები მღეროდნენ. ნიჭიერი სტუდენტის ნამღერი "სალოვუშა" განსაკუთრებულად მოეწონათ. კონკურსში გამარჯვებულმა მომღერლებმა სპორტის სასახლეში გამართულ გალა კონცერტში მიიღეს მონაწილეობა. ოცდაჩვიდმეტიდან ორი საუკეთესო შეარჩიეს. ეს ამბავი მომღერალმა დეტალურად გაიხსენა. მომდევნო ნაბიჯები ანსამბლ "ცისარტყელაში" იყო, ეს იყო პირველი სუპერპოპულარული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი სამტრედიის ცხოვრებაში. იგი დიდმა მაესტრომ, თამაზ დუნდუამ შექმნა, შემდგომ მას სათავეში რობერტ ქებაბჩიანი ჩაუდგა. დათო კოპალეიშვილი მისი თანაკლასელი იყო. როცა რობერტთან დათო კოპალეიშვილს, როგორც საუკეთესო მომღერალს, რეკომენდაცია ანსამბლის წევრმა, საქსაფონისტმა გივი კოხრეიძემ გაუწია, რობერტი გაოცებულა, მას ხომ არასოდეს უმღერიაო? ასე მიიღეს ანსამბლის სოლისტად. ნიჭიერი მუსიკოსებით დაკომპლექტებულმა ანსამბლმა მალე მიიქცია არამარტო თანაქალაქელთა ყურადღება. კონცერტებს მართავდნენ საქართველოს ქალაქებში. იყო ბრწყინვალე კვარტეტი: იზო კაჭარავა, სვეტლანა საგჩენკო, მერაბ წილოსანი და დავით კოპალეიშვილი. მერე "ცისარტყელას" ბაზაზე ტრიო "სიმები" შეიქმნა სერგო კრავეიშვილის, მერაბ წილოსანისა და დათო კოპალეიშვილის შემადგენლობით. ანსამბლმა დიდ წარმატებებს მიაღწია, არიან მსოფლიო ფესტივალების ლაურეატები და პრიზიორები. გამოუშვეს ორი გრამ-ფირფიტა (დისკი). მომღერალმა შემოქმედებითი წარმატებებით დატვირთული წლები გაიხსენა, როცა ისინი პოპულარობის ზენიტში იმყოფებოდნენ. სიამაყით აღნიშნა, იმხანად არსებულ ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთადერთ ფაბრიკაში მოსკოვში გრამ-ფირფიტები რომ გამოუშვეს. გადაიღეს ორ ფილმში "მეწისქვილის სიზმარი" და " სასტუმრო სიმღერა". მომღერალმა სიამაყით აღნიშნა ისიც, რომ ამ ფილმებში სამტრედიელ მომღერლებს პარტნიორობას თამარ ჭოხონელიძე, მაია ჯაბუა, ეკა კახიანი, ნუკრი კაპანაძე და სხვა ცნობილი არტისტები უწევდნენ. ორთავე ფილმის მუსიკალური რედაქტორი გოგი დოლიძე იყო. "სიმები" ძალიან ხშირად სტუმრობდა იმჟამად ერთადერთ საქართველოს ტელევიზიას, თითქმის ყველა სადღესასწაულო კონცერტში მონაწილეობას ღებულობდნენ და ეს ხდებოდა იმ პერიოდში, როცა სამასზე მეტი ტრიო მარტო თბილისში არსებობდა. ტელევიზიაში გამოსვლებით, მიწვევებით და რეიტინგით პირველ სამეულში შევდიოდითო, იხსენებს ბატონი დათო. ხშირად გაუმართავთ კონცერტები ანსამბლ "ქართულ ხმებთან" ერთად. შემდეგ საქართველოს ტელევიზიისა და "ქართული ხმების" რეკომენდაციით, მიწვევა მიიღეს ცენტრალურ ტელევიზიაში გადაცემაში "შემღერდეთ მეგობრებო". დარბაზი განსაკუთრებული ემოციით შეხვდა წლების წინანდელი ორი გადაცემის ჩანაწერის ჩვენებას. ერთ გადაცემაში ცნობილი ესტრადის ვარსკვლავები, კომპოზიტორები, პოეტები და დებიუტანტები მონაწილეობდნენ. "სიმები" ჩართეს საკონცერტო პროგრამაში, რომელიც გაიმართა მოსკოვში, ლუჟნიკების ზამთრის სპორტის სასახლეში, გადაცემას ერქვა "ფართო წრე". ამ პოპულარულ კონცერტში ტრიო "სიმებს" სცენაზე გამოსვლა ფილიპ კირკოროვის, ალექსანდრე სეროვის, ირინა ალეგროვას, ვალერი ლეონტიევის, ალექსანდრე მალეეკის შემდეგ მოუწია. დათო კოპალეიშვილმა იუმორიც იმარჯვა და ეკრანზე ფილიპ კირკოროვის გამოჩენისას დარბაზს მიმართა: სულ რაღაც სამ წელიწადში ფილიპი ცოლად მოიყვანს მასზე 23 წლით უფროს რუსული ესტრადის ვარსკვლავ ალა პუგაჩოვას, მართალია, ათი წლით, მაგრამ მაინც... " "სიმებს" ევროპის ბევრ ქვეყანაში ჰქონდა კონცერტები, ესპანეთის დიდ ქალაქებში: მადრიდში, ვალენსიაში, სეგოვიაში, სიუდად-რეალში და სხვა ქალაქებში 70-ზე მეტი კონცერტი გამართეს.

მომღერალმა შეასრულა "სალოვუშა", "100 ქალი," "ყვავილების ქვეყანა" მისი გარდაცვლილი მეგობრის, ნუგზარ სურმავას ხსოვნას უძღვნა. ქალაქურ მელოდიის შესრულებისას ანსამბლ "ლილეს" მოცეკვავე გოგონებმა დაამშვენეს სცენა. საკუთარი სიმღერებითაც წარსდგა მომღერალი აუდიტორიის წინაშე. საღამო განსაკუთრებულად დაამშვენეს თავიანთი შემოქმედებით ემიგრაციაში მყოფმა ქართველებმა, მომღერლის მეგობრებმა, სოსო პაპავამ და ელგუჯა ხუნდაძემ. დათო კოპალეიშვილმა ორივე სტუმარი პროფესიონალ მუსიკოსად წარუდგინა პუბლიკას. 80-იანი წლების ფრანგული მელოდიების პოპური ელგუჯა ხუნდაძემ აკორდეონზე შეასრულა, საქსაფონისტმა სოსო პაპავამ კი შეასრულა ნაწარმოები ლუი არმსტრონგის რეპერტუარიდან. დარბაზში ისხდნენ დავით კოპალეიშვილის შვილები დავითი და ლანა და მეუღლე, ნანა ხურცილავა, ასევე, მომღერლის სამივე შვილიშვილი. ქართული სიმღერებით წარსდგა მსმენელის წინაშე მომღერალი ანა აბზიანიძე.

ლამაზი კონცერტის შემდეგ კომენტარები დარბაზში შეკრებილთ ვთხოვეთ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია: "დღეს ძალიან კარგი კონცერტი გაიმართა, დათო არა მარტო ჩემი, ყველა სამტრედიელის საყვარელი მომღერალია, დღეს თქვენ ნახეთ, "სიმები" ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს რაოდენ პოპულარული ანსამბლი იყო, მინდა შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვო ბატონ დათოს".

მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე: " ეს იყო ისეთი მაღალი დონის შემოქმედებითი საღამო, სამტრედიას და ბატონ დათოს რომ ეკადრება. მას და ყველა იმ ადამიანს, ვინც ძალიან პოპულარულ ანსამბლებში "ცისარტყელასა" და "სიმებში" მოღვაწეობდნენ, უდიდეს მადლობას მოვახსენებთ და ვეფერებით. ბატონი დათო არის კოლორიტი და ძვირფასი ადამიანი".

შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორი, ანსამბლ "ცისარტყელას" ყოფილი წევრი ბეჟან გოგია: "70-80-იან წლებში ქართული ქალაქური სიმღერების დათოსნაირი შემსრულებელი არათუ სამტრედიაში, იმერეთშიც არ იყო, ჩვენი დათო მეგობრობდა ლეგენდა კაცთან, ოთარ რამიშვილთან და მღეროდა მის სიმღერებს. მან პირველმა შემოიტანა სამტრედიაში მისი სიმღერები, შვიდსიმიან გიტარაზე ნამღერი. იშვიათი შემთხვევაა, რომ ის რჩება შვიდსიმიან გიტარაზე უბადლო შემსრულებლად. განსაკუთრებულად მომწონდა დათოს ნამღერი "თოვლი მოსულა თბილისში". ის არის ასევე რუსული რომანსების უბადლო შემსრულებელი, მე მისგან ვისწავლე მეოცე საუკუნის ლეგენდის, ვლადიმერ ვისოცკის სიმღერები. ამასთანავე, დათო უაღრესად ნიჭიერი ადამიანების შვილია, მამა, ამბროს კოპალეიშვილი დამსახურებული პედაგოგი, დედა, კლარა ლასარეიშვილი დამსახურებული ექიმი პედიატრი გახლდათ. დათომ სამტრედიის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მიიღო მონაწილეობა 1993 წელს იყო რაიონის საკრებულოს წევრი, კულტურის კომისიის თავმჯდომარე და ქალაქის საკრებულოს სპიკერი."

ლევან თავაძე, ანსამბლ " ცისარტყელას" ყოფილი წევრი: "72 წელს მოვიდნენ ჩვენს ანსამბლში ის, მერაბ წილოსანი და იზო კაჭარავა. დათო მოვიდა განსაკუთრებულად ლამაზი, იშვიათი ხმის ტემბრით, ამ დროს ვახტანგ კიკაბიძე ძალზე პოპულარული იყო, დათო შესანიშნავად ასრულებდა მის რეპერტუარს, ეს კიდევ უფრო ზრდიდა მის პოპულარობას. მისი სტილი იყო ქალაქური, მუხამბაზური. დათოს მოსვლის მერე ჩამოყალიბდა ბრწყინვალე კვარტეტი, ის იყო ამ კვარტეტის წამყვანი ხმა. ვუსურვებ მას შემოქმედებით წარმატებებს და ოჯახურ კეთილდღეობას. ჩვენ ამ ანსამბლში ყველანი მეგობრობამ შეგვაკავშირა, თითოეული ჩვენგანისათვის უპირველესი ცნება და ღირებულება ყოველთვის იყო და არის ოჯახი, საუკეთესო ურთიერთობებს აგრძელებენ ჩვენი შვილებიც."

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ლიზა კრავეიშვილი: "ანსამბლი "ცისარტყელა" იმ პერიოდისათვის იყო შესანიშნავი მოვლენა, დათოსთან ერთად ანსამბლში იყვნენ ელიზა რინკავოი, ნათელა ძიგუა, იზო კაჭარავა, ბეჟან გოგია (გიტარაზე), ჯეირან მიმინოშვილი, ლევან თავაძე, მერე გამოეყვნენ ანსამბლს და შეიქმნა "სიმები". იქ იყვნენ აწ გარდაცვლილი ნუგზარ სურმავა, სერგო კრავეიშვილი, დათო კოპალეიშვილი, მერაბ წილოსანი. დათო სამტრედიის მუსიკალური ცხოვრების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო. იმხანად სამტრედიაში მართლაც ყვაოდა ხელოვნება, ეს ანსამბლიც ძალიან დაფასებული იყო".

მერის წარმომადგენელი ქალაქის ტერიტორიულ ორგანოში, თენგიზ ცაგურია: "დათო ქალაქის კოლორიტია, მას ბავშვობიდან ვიცნობ, "ცისარტყელა" რომ შეიქმნა, არათუ სამტრედიაში, ქუთაისშიც არ არსებობდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, მათ კონცერტები ჰქონდათ უცხოეთის და საბჭოთა კავშირის მრავალ ქვეყანაში, ამ ანსამბლის წევრებმა სამტრედიის კულტურულ ცხოვრებაში დიდი წვლილი შეიტანეს."

სამ წელიწადში დავით კოპალეიშვილი 70 წლის სახელოვან იუბილეს იზეიმებს. შემოქმედებითი წარმატებები არ დაგლეოდეთ, ბატონო დათო!

თქვენ გვასწავლეთ სამშობლოს სიყვარული!

ქეთევან ჭელიძე

***ზღვად დამდგარი სიყვარული ელამუნებოდა იმ დღეს მთელ თქვენს ცხოვრებას. ხარჯი მოგიხადეს იმ ნაღვაწისათვის, თაობიდან თაობას სიამაყედ რომ გადაეცემა. ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, მაგრამ შეძელით, სამტრედიაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის საფუძველი ჩაგეყარათ, ფერფლწაყრილი წარსული გაგეცოცხლებინათ, კიდევ უფრო საცნაური და ხელშესახები გაგეხადათ იგი. თქვენ უკეთ იცით, უწარსულო მომავალს მომავალი რომ არ აქვს. ამიტომ იყვლევდით ეს ისტორიის ლაბირინთებში და ამიტომ გაიყოლეთ ამ ეზაზე თქვენი შვილიშვილები. სამშობლოს სიყვარული თქვენ გვასწავლეთო. _ ვითხრეს წლების შემდეგ და ამაზე უკეთესი ჯილდოც რაღა უნდა იყოს მოძღვრისთვის.*

თქვენი ბრძოლის ველი უკიდეგანოა, ეს სანახებია, ციხეკოშკები, ველ-მინდვრები, ნასოფლარ-ნასახლარები, სამშობლოსი რომ ჰქვია. იცით, როგორ ესათუთებით მას. "ნაბზარი რაა, ყველა თქვენი ნაკაწრი მტკივა" _ შეგიძლიათ გაიმეოროთ. იცით და ვადაწყვიტეს, მადლობა ეთქვათ ამისათვის.

80 წლის საიუბილეო საღამოზე, რომლის ინიციატორი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი იყო, ბევრი სტუმარი გეწვიათ. შეხვედრა ყოფილმა მოსწავლეებმა: ია კაშიამ, მამუკა შენგელიამ, მამუკა გერაძემ, ლაშა გიგინეიშვილმა, ნიკა შენგელიამ და ირაკლი კაცაძემ გაგილამაზეს, თქვენთვის რომ ჩამოვიდნენ დედაქალაქიდან.

ღონისძიება ყველასთვის საყვარელი იმ სახლის კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორს, ნატა ჯიქიას და ანსამბლ "ლილეს" მხატვრულ ხელმძღვანელს, მამუკა მხეიძეს მიჰყავდა.

"ალბათ, სიმბოლურიც იყო, რომ პირველი ნივთი, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მაშინდელი მხარეთმცოდნეობის კაბინეტისთვის მოიტანა გულიკო მასწავლებელმა, იმერული ძველი აკვანი იყო. სასიკეთოდ დაირწა ეს აკვანი _ ნივთს ნივთი მიემატა და ასე, ქართული ანბანივით იკინძებოდა და იკინძება სამუზეუმო ექსპონატები, რომლებმაც მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაიდეს ბინა. ამ საქმეში კი უდიდესი დამსახურება და ღვაწლი ქალბატონ გულიკო ცინცაძეს მიუძღვის". _ თქვეს იმ საღამოზე.

ვიდრე იმის შესახებ მოვყვებოდეთ, რაც იქ ხდებოდა, ქალბატონ ელიკო ანკვაბის, თქვენი დიდი ხნის მეგობრისა და კოლეგის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის მოადგილის ნაამბობი უნდა მოგიყვეთ.

ქალბატონი გულიკო მაგალითია ადამიანობის, დედობის, მეუღლეობის, მეგობრობის, თანამშრომლობისა და შრომისმოყვარეობის. სულ ჩართულია საქმეში და უნდა, რომ სამსახურშიც ყველას თავჩარგულს ხედავდეს. 1975 წლიდან ვთანამშრომლობთ. სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორი რომ იყო, მაშინაც ვთანამშრომლობდით. როდესაც პიონერთა და მოსწავლეთა სახლში მხარეთმცოდნეობის კაბინეტის ხელმძღვანელად დანიშნე, ტურისტული სამარშრუტო რუქები "შენთვის ნორჩო მოგზაურო" გააკეთა. თბილისში, პიონერთა სასახლეში რომ ჩავიტანეთ ისინი, პროფესორმა ლევან ფრუიძემ ქალბატონი გულიკო ასე შეაფასა: "უთუოდ დიდი ხელოვნებაა, ადამიანებს უნარის მიხედვით მიუჩინო საქმე და საზრუნავი. სწორად მოიქცნენ სამტრედიის რაიონის ხელმძღვანელები, როცა გულიკო ცინცაძე პიონერთა სახლში გადმოიყვანეს და ნორჩ მხარეთმცოდნეთა შერჩევა და აღზრდა დაავალეს".

მომთხოვნი და წესრიგის მოყვარულია, დროის ყადრი იცის. ნამდვილად სერიოზულად აქვს ნაღვაწი და ყველაფერში დებს მისი ქვეყნის მიწა-წყლის სიყვარულს. თავის სოფელში, საჭამიასერში, ამ წუთშიც თავკაცობს. ინიციატივას რომ იღებს, აკეთებს კიდეც. ტყუილად არ ვამბობ, რომ სამაგალითო ქალია, საზოგადო მოღვაწე, საოცარი მეგობარი. მას ორი ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, აგრონომიც არის და გეოგრაფიც".

ქალბატონმა ელიკომ ისიც გაიხსენა, თქვენმა ყოფილმა მოსწავლეებმა, რომელთა ნაწილი დარბაზში იჯდა, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს ტელევიზიის შენობის ფანჯრებში ქართული დროშები რომ გადმოფინა, მათ სოლიდარობა ქუჩაში შეკრებილი ადამიანების მიმართ სიტყვითაც და ლექსითაც გამოუხატავთ. ისინი მაშინ გადაცემაში "საუკუნეები და თაობები" კულაშის ჯვარცმის სახელობის ძველი ტაძრის პრობლემებზე სასაუბროდ მიიწვიეს.

ახლა კი იმაზე, ქალბატონო გულიკო, სხვადასხვა თაობის ადამიანები როგორ გსტუმრობდნენ იუბილეზე, როგორ დაგიფინეს ფიანდაზად ყვავილები და უამრავი კეთილი სიტყვა და სიყვარული არ დაიშურეს თქვენთვის. პირველად თქვენი თანამოაზრე, ეთნოგრაფიული მუზეუმის შექმნის იდეის ავტორი, ბატონი ჯონი ნადირაძე მოგესალმათ: "ტელევიზიაში "ერთსულოვნებაში" ხშირად გადმოსცემენ პატრიარქის ნათქვამს, თუ წარსული არ შევისწავლეთ, ვინ ვართ, რა ვართ და არ გავაგებინეთ ჩვენს მომავალ თაობას, ისე ვერც აწმყოს შევქმნით ნორმალურს და მით უმეტეს, კარგი მომავალი არ გვექნება. დღეს ზუსტად იმან შეგვკრიბა აქ, რომ ქალბატონმა გულიკომ მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა სიძველეების ძებნას, ჩვენი ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორული ნიმუშების შეგროვებას და ახალგაზრდებისთვის გადაცემას. როცა წმინდა დვით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის სანახავად უცხოელები, სტუმრები მოდიოდნენ, გაოცებული რჩებოდნენ და გვთხოვდნენ, სამტრედიის ისტორია გაგვეცნო მათთვის. მაშინ ვიფიქრე, რომ მუზეუმი უნდა გვქონოდა. აზრი ელიკო ანკვაბს და ტატა გოგუაძეს გავუზიარე. ვკითხეთ ქალბატონ გულიკოს, თუ დაგვეხმარებოდა. რაოდენ დიდი იყო ჩემი სიხარული, რომ ორი დღის შემდეგ იგი ჩემს ისტორიულ ვაგონში რამდენიმე საქაღალდეთი გამომეცხადა. ძალიან დიდია ღვაწლი მოსწავლე-ახალგაზრდობის, ჩვენი ხელისუფლების, საზოგადოების ამ საქმეში. უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი, შეიქმნება მუზეუმის პროექტი, რამდენიმე ხანში სამტრედიას ექნება მისი შესაფერისი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი".

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელმა მდივანმა ლევან გაბეჩავამ თქვენი ინიციატივით, სკოლებში მხარეთმცოდნეთა საგუშაგოების შექმნის ისტორია გაიხსენა. "ყაზბეგის სკოლაში "საპოვნელა" ჩამოვაყალიბეთ. მეამაყება, რომ ამ საგუშაგოს ბევრი წევრი დღეს ცნობილი ადამიანია. სასიამოვნოა, რომ ასეთი კარგი მუზეუმი გვაქვს, რაშიც ქალბატონ გულიკოს ლომის წილი მიუძღვის. იგი მისაბაძი პიროვნებაა, მისაბაძია მისი შრომისმოყვარეობა. დამეთანხმებით, დღეში ათჯერ რომ შეგხვდეთ, ყოველთვის მუზეუმზე გეტყვით რაღაცას.

80 წლის გულიკო ცინცაძეს უკან მოსახედი აქვს და ღირსეულად შეუძლია იამაყოს განვლილი წლებით". _ აღნიშნა მან და მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, საშურ საქმედ რომ გაიხადა სამტრედიაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმი შექმნილიყო. ქალბატონ გულიკოს კი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ბიზნესაკადემიის აკადემიოსის, პროფესორ ვაჟა თვალავაძის საუკეთესო სურვილები გადასცა.

სიტყვა სამოქალაქო აქტივისტს, სამტრედიის გულშემატკივარს უნდა მივცეო, მამუკა მხეიძემ და სცენაზე ქალბატონი ნათელა გელეიშვილი მიიწვია. ბედნიერი დღეა, ბრძანა ქალბატონმა ნათელამ. მადლობა გადაუხადა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მესვეურთ, ბატონ ჯონი ნადირაძეს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და მერე თქვენ მოგმართათ:

ბედნიერი ხართ, რომ ამ შენობაში გიწყობენ შეხვედრას, სცენაზე, სადაც თქვენ არაერთი კონფერენცია ჩაგიტარებიათ. მას ესწრებოდნენ ცნობილი ეთნოგრაფები, არქეოლოგები. ისეთი ლამაზი საღამოები, აქტიური და მიზანმიმართული მუშაობა წარმოებდა სკოლებში საგუშაგოების მიერ, უკეთეს ვერავინ გააკეთებდა.

პიონერთა სახლს ბატონმა თამაზ იმედაძემ ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაარქვა, ეს იყო ძალზე სერიოზული განაცხადი. ცენტრი ერთგვარი საავიზიტო ბარათი გახლდათ და მიხარია, რომ ამ ფუძეზე ჯონი ნადირაძემ შეძლო თქვენი შემოყვანა. ვიცი, როგორი რუდუნებით, პატივისცემით, მოთმინებით აკეთებთ საქმეს. მიყვარხართ, პატივს გცემთ და მინდა, ჩემი ოჯახის სახელითაც გითხრათ მადლობა".

სახლი, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ჯადოსნური სახლიაო. _ განუცხადა დარბაზს თქვენმა კოლეგამ, გეოგრაფმა ციცინათელა ლალიაშვილმა. "აქ სასწაულები ხდებოდა ადრე და ხდება ახლაც. გულიკო ცინცაძესთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. იშვიათად მინახავს მისნაირი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება საქმისადმი. ალბათ, ერთი წუთიც არ ყოფილა, საკუთარ ქვეყანაზე არ ეზრუნა.

80 წელი, შეიძლება სიცოცხლისთვის დიდია, მაგრამ ის, რომ კეთილი საქმე აკეთო, ნამდვილად ცოტაა. მე ვუსურვებ მას, რომ ეს კეთილი საქმე გააგრძელოს, რასაც უფალი წლებს მისცემს, საქმის სიყვარულში დაიშრიტოს". გისურვათ მან

დღეს კაშკაშა დღეაო, _ მისთვის დამახასიათებელი ემოციურობით მოგესალმათ მსახიობი მზია ჩიხლაძე. მან მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სახელითაც მოგილოცათ საიუბილეო თარიღი და ჩვეულებისამებრ ლექსიც წაგიკითხათ.

ლექსით მოგილოცათ დაბადების დღე ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დირექტორმა ვეფხია ნადირაძემაც.

იუბილე საგანმანათლებლო რესურსცენტრის სახელით მოგილოცათ უფროსმა სპეციალისტმა ალექსანდრე თევზაძემ და სამუზეუმო საქმეში თქვენი გვერდით დგომის სურვილი გამოთქვა.

მოგონებები მამუკა მხეიძესაც მოეძალა, თუმცა, სიტყვა თავის მეგობრებს, ყოფილ პიონერსახლელებს დაუთმო.

"თვალწინ გამირბინა, ამ კედლებში რა ღონისძიებები, ლაშქრობები, შეხვედრები ჩაგვიტარებია". _ ეს ირაკლი კაცაძეა. _ "წარმოვიდგინე, ის პატარა ბიჭი ვიყავი, დედამ პირველად რომ მომიყვანა თქვენთან. დიდ მადლობას გიხდით იმისთვის, რომ ჩვენ ასეთები ვართ და სამშობლო გვიყვარს".

მადლობა არ დაიშურა ია კაშიამ ყოფილი პიონერთა სახლის მიმართ, "ყოველი ლამაზი წუთისთვის, საათისთვის, დღისთვის", რომელიც თქვენთან ერთად გაუტარებიათ.

"თქვენ ღრმად ფლობდით ბავშვის ფსიქოლოგიას, მეც პედაგოგი ვარ და ამ სახლში მიღებული გამოცდილება ხშირად მეხმარება მუშაობაში. როცა თქვენი დავალებით სადმე წავიდოდით (ერთად თითქმის ყველა სოფელი გვაქვს მოვლილი), ნივთებს მოვიძევდით და აქამდე მოვიტანდით, მახსოვს თქვენი დამოკიდებულება თითოეული ამ ნივთისადმი, როგორ ესათუთებოდით სიძველეებს, ჩვენი რაიონის ღირსშესანიშნაობებს. ჩვენ რომ ასე გვიყვარს ჩვენი საქართველო, თქვენი უდიდესი დამსახურებაა". _ გამოხატა მან მადლიერება.

"რაც თქვენ, ჩვენი კი არა, ჩვენამდეც და შემდეგი თაობისთვისაც გაქვთ გაკეთებული, ძალიან ღირებულია. მადლობა ყველაფრისთვის. დღევანდელი დღე იმითაც არის ლამაზი, რომ მეგობრები ისევ შევვიკრიბეთ. გავიხსენეთ წლები, რომლებიც ტკბილად მოსაგონარია. იმ ცოდნას და გამოცდილებას, რაც ჩვენ იმ წლებში მივიღეთ, ჩვენს შვილებს გადავცემთ. თქვენ გვასწავლეთ სამშობლოს სიყვარული". _ გულწრფელი იყო ნიკა შენგელია.

რამდენიმე წუთით შემოირბინა საყვარელი მასწავლებლის საიუბილეო საღამოზე მამუკა გერაძემ. გულით მოგილოცათ, სიტყვას იუმორიც გაურია. სინანულით გაიხსენა უკვე გარდაცვლილი მეგობრები და თქვენი ყოფილი მოსწავლეები. ბოლოს

კი, როგორც ყოველთვის, ახლაც შთამბეჭდავად წაგიკითხათ ლექსი.

შეცვლილხართო, მოეფერეთ იმ ერთ დროს პატარა გოგო-ბიჭებს და სიტყვას სიამაყე გაურიეთ: "ჩემზე მდიდარი, ალბათ, ძალიან ბევრი ადამიანია, მაგრამ ის სიხარული, რაც ამ ბავშვებისგან მიმიღია, დავიტრაბახებ და ალბათ, არავის განუცდია. ჩემი მოსწავლეებით ყოველთვის წინ ვიდექი. ერთად ვიყავით ჟინვალის არქეოლოგიურ გათხრებზე, მცხეთაში აფაქიძის, სენაკში პარმენ ზაქარიაძის, ვანში ოთარ ლორთქიფანიძის, ნავენახევში ჯურხა ნადირაძის ხელმძღვანელობით. თუ სადმე რამე არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა, ჩემი ბავშვებიც იქ იყვნენ".

სასიამოვნო მოგონებად დაგრჩათ, თუ როგორ გაიმარჯვეთ პიონერთა სასახლიდან სენაკში ჩამოსულ მოსწავლეებთან შეჯიბრებაში, როგორ "შებედა" ვახტანგ კოტეტიშვილთან და ალექსანდრე ჭინჭარაულთან შეხვედრის დროს თბილისში კაფია მეექვსე კლასელმა ლაშა გიგინეიშვილმა ბატონ ვახტანგს და "სირცხვილისგან" იხსნა სამტრედიელი მოსწავლეები. როგორ მოხიბლეს თქვენმა ბავშვებმა სვანები სვანური ცეკვით და მათი გულღია მასპინძლობა დაიმსახურეს.

საზოგადოება "სამტრედიელის" თავმჯდომარის მოადგილემ მოგელი კუპრეიშვილმა საზოგადოების საპატიო წევრად თქვენი დასახელება გამცნოთ. ისურვა, რომ მალე სამტრედიის საპატიო მოქალაქის წოდებაც მოგნიჭებოდათ.

მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ დაგიდასტურათ, რომ ნამდვილად იმსახურებთ საპატიო მოქალაქეობას. გითხრათ, რომ "80 წელი არცთუ ისე დიდი ასაკია. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქალაქის წლოვანებას. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წარმოდგენილი ნიმუშები გვამცნობს, რომ ანტიკური ხანის სოფლებიც გვქონია სამტრედიაში. უძველეს ნიმუშებს კი შეგროვება, მოვლა და შენახვა სჭირდება. ამიტომაც გახდა აუცილებელი მუზეუმის არსებობა და ეს სწორედ თქვენი დამსახურებაა. მინდა მადლობა გითხრათ იმისთვის, რასაც თქვენ ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ქვეყნისთვის აკეთებთ".

მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმაც მიუთითა თქვენს ღვაწლზე მუზეუმის დაარსებაში: "სასიხარულოა, ასეთი ამაგდარი ქალბატონი ასეთი შემართებით რომ ხართ. მალე მუზეუმის ახალ შენობაში გააგრძელებთ საქმიანობას. თქვენი საპატიო მოქალაქეობის საკითხს საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფი განიხილავს და უმოკლეს დროში გადავწყვეტთ".

კიბეებზე ასვლა იქნებ ვერ შეძლოო, დანანებით უთქვამს შვილისთვის და სიურპრიზი ვეღარ გაგიკეთათ ქალბატონმა გულიკო ზარბაზოიამ. თავისი 96 წლის დედა და თქვენი მასწავლებელი ვერ მოგიყვანათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. "ჩემო საყვარელო ქალბატონო, ჩვენ ერთი წყაროს წყლით ვართ გაზრდილი, ერთი მთის ქვეშ ერთი საბუდარი გვაქვს. მახსოვხართ სკოლაში თეთრი ბაბთებით მიმავალი, საუკეთესო მოსწავლე. გულიკო ერთადერთი ქალიშვილი იყო თავისი ოჯახის, მისაბაძი, სკოლის თვალი. მისი დედა ჩემი მასწავლებელი იყო, დიდი გიორგი ნიკოლაძის სტუდენტი, სკოლის წამყვანი პედაგოგი და ასეა გულიკოც". _ დაგახასიათათ ქალბატონმა გულიკომ.

თავისი სიხარული და საიუბილეო საღამოთი განცდილი აღმაფრენა გამოხატა წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის პედაგოგმა ნინო ტონიამ.

ბედნიერია საზოგადოება, რომელსაც აქვს კულტურულ-ისტორიული მეხსიერება, ჰყავს კულტურული საზოგადოება, რომელშიც გაბატონებულია კეთილი ნება, მოეფეროს ღვაწლმოსილ ადამიანებს. ქალბატონი გულიკო გახლავთ მრავალმხრივი ინტელექტის ადამიანი, მრავალმხრივ განათლებული, ერუდირებული, გულისხმიერი პიროვნება. მან იცის მრავალი სფერო. კულტუროლოგიაში განსაკუთრებული სფერო არის მუზეუმოლოგია. მას სჭირდება განსაკუთრებული ცოდნა, ძიება. ქალბატონი გულიკო ბრძანდება ადამიანი, რომელიც იძიებს და ჰპოვებს. და ერთი შტრიხი: ის გახდა პერსონაჟი ცნობილი დოკუმენტური ფილმისა, რომლის ავტორია ცნობილი კინოდოკუმენტალისტი ზურაბ ინაშვილი. მე მივეცი მისამართი სოფელში ქალბატონი გულიკოსი ამ რეჟისორს. მაშინ ის მგლოვიარედ გახლდათ. იუხერხულა რეჟისორმა მასთან სტუმრობა, მაგრამ მისი ინტელექტი მისი ქარიზმა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ იგი ქცეულიყო ამ მრავალგმირიანი ფილმის ღირსეულ და შთამბეჭდავ პესონაჟად. მე ჩემს მილოცვას სწორედ ამ ფილმის სიმბოლური სათაურით დავასრულებ: გულიკო დეიდა, გემღერებოდეს დედაო!

იუბილართან თავის 40 წლიან ურთიერთობაზე ისაუბრა ნოღის საჯარო სკოლის პედაგოგმა ნათელა მიგინეიშვილმა: "როცა ის ნოღის სკოლაში მოვიდა მცირე ხნით, შეკრიბა საქართველოს ისტორიით, კულტურითა და ტრადიციებით დაინტერესებული მოსწავლეები და ისეთ საინტერესო ლექციებს უკითხავდა, რომ მეც მათთან ერთად ვიჯექი, როგორც თავისუფალი მსმენელი.

ქალბატონი გულიკო ყოველთვის საჭირო რჩევებს მაძლევდა: იყო ეს ნორჩ ფოლკლორისტთა კლუბის ჩამოყალიბება სკოლაში, თუ დიდი ფოლკლორული საღამოების მოწყობა-ჩატარება კლუბის წევრების მიერ შეკრებილი მასალების საფუძველზე.

ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება და მცირე სასკოლო მუზეუმის შექმნა, ჩემს სკოლაში ისევ მას უნდა "დავაბრალო".

როცა გავიგე, რომ ჩვენი დღევანდელი იუბილარი რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ჩამოყალიბებას ჩაუდგა სათავეში, რითაც შემეძლო, გვერდში დავუდექი. რაც კი ფასეული იყო ჩემს სასკოლო მუზეუმში, გადავეცი. ის დიდებული პატრიოტი ქალბატონია.

იმდენად ენერგიულია ეს ჩვენი სანდომიანი ქალბატონი, რომ, ვფიქრობ, კიდევ დიდხანს შეძლებს გაუძღვეს ამ მეტად საჭირო და კეთილშობილურ საქმეს". "ქრისტიანისთვის დაბადების დღის აღნიშვნა სასიკეთოა". _ განაცხადა დეკანოზმა რომანოზმა (ნინუა)." _ ადამიანი ამით მადლობს ღმერთს. დაბადების დღის აღნიშვნით აღიარებს, ღვთის ხატად და მსგავსად რომ არის შექმნილი. მისადმი მადლიერების გამოვლენაა, თუნდაც, აქ თავშეყრილი ადამიანების მიერ. სამტრედია 150 წლის არის, მაგრამ კულაშში ერთ-ერთმა ქალბატონმა იპოვა მიწაში დამარხული, სადღაც, ორსაუკუნოვანი ძველი ჯვარცმის ტაძრის ბეჭედი. მას აწერია: კულაშის ჯვარცმის სახელობის ეკლესია. ვფიქრობ, რომ მისი ადგილი აქ, ამ მუზეუმშია და მას გადმოგცემთ.

ღმერთმა მანამდე გაცოცხლოთ, სანამ თქვენ ამის სურვილი გექნებათ."

საუკეთესო სურვილებით მოგესალმათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი მარინა ქართველიშვილი: "სამშობლოს სიყვარულის შეგრძნება მისი ისტორიული წარსულის შესწავლით იწყება. ქალბატონმა გულიკომ ახალგაზრდებისათვის სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვა ჩვენი რაიონის კუთხე-კუნჭულის შესწავლით დაიწყო და შექმნა შესანიშნავი საგანძური _ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. 80 წელი ცხოვრების განსაზღვრის თარიღი არ არის, მით უმეტეს, ისეთი ქალბატონისთვის, როგორც თქვენ ბრძანდებით. თქვენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრეს მუზეუმის შვილობილ ორგანიზაციად თვლით. დღეს აქ ამ წრის წევრებიც მოვიდნენ თქვენს მოსასალმებლად".

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის, ქალბატონი ლამარა დუნდუასა და ქალბატონი გულიკო ცინცაძის ურთიერთობა 4 ათეული წელზე მეტს ითვლის. "კულტურის დარგის მუშაკები ვიყავით, თითქმის ერთობლივად ვემსახურებოდით დარგს. ვთანამშრომლობდით. ოფეთში სამუზეუმო მნიშვნელობის ქვა იპოვეს და ის ჩვენი ძალისხმევით იქნა აქ მოტანილი. შეძლებისდაგვარად მუზეუმს ინვენტარითაც დავეხმარეთ". _ აღნიშნა ქალბატონმა ლამარამ და გულიკო ცინცაძეს დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

გაიხარეთ, როდესაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა, ტატა გოგუაძემ, რომელსაც თქვენი საიუბილეო საღამოს ჩატარების იდეა ეკუთვნის, საქართველოში არ იმყოფებოდა და ტელეფონით მოგილოცათ მნიშვნელოვანი თარიღი.

კეთილი სურვილებით აგავსეს და ღონისძიება მხატვრული ნომრებით გაალამაზეს მომღერალმა დათო კოპალეიშვილმა, ტრიო "ჰარმონიამ", ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა "ათინათმა", თქვენთვის იმღერეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა ანსამბლმა "ჩანგმა" და "ალილომ". თქვენს წინაშე სიმღერით წარსდგა ზურაბ მეფარიშვილი თავის მოსწავლეებთან, დათო მსხილაძესთან ერთად, რომელმაც ლექსიც წაგიკითხათ. ქრისტინე ზაქრაძეც სამეჯლისო ცეკვით მოგეფერათ გიორგი ბუბუტეიშვილთან ერთად. ქორეოგრაფმა, ბატონმა გიორგი კეშელავამ ღონისძიების დასასრულს სიურპრიზი მოგიმზადათ და ქრისტინე ზაქრაძესთან ერთად ახალგაზრდული შემართებით ვალსი გიცეკვათ.

გარს შემოგეხვივნენ თქვენი მოსწავლეები და საცეკვაოდ თქვენც გაგიწვიეს, გული გაგითბეს, სიყვარული ერთხელ კიდევ დაგიდასტურეს. ეს დღე განსაკუთრებული იყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებისთვისაც, თქვენი უმცროსი კოლეგებისა და მეგობრებისთვის.

ჯილდოებით ვერ დავიტრაბახებო, ბრძანეთ. გაიხსენეთ ძეგლთა დაცვის სამმართველომ რომ დაგაჯილდოვათ წლების წინ და თვით პრეზიდიუმის თავჯდომარემ რომ ჩამოგიტანათ ჯილდო სამტრედიაში. ისიც, თქვენს რესპუბლიკურ ღია გაკვეთილს საათ-ნახევარიანი რეპორტაჟი რომ მიეძღვნა საქართველოს ტელევიზიით. შემთხვევა არ ყოფილა, შექება და მადლობა არ მიგეღოთ იმ ადამიანებისგან, ვისთანაც კი საქმიანი ურთიერთობა გქონიათ. მორიდებით გაამხილეთ, რომ სამტრედიის საპატიო მოქალაქეობა თქვენი დიდი ხნის სურვილიც იყო.

"მსგავსი დაფასება და სიყვარული ჩემისთანა მოკვდავისთვის უბრალო არ არის". _ ბრძანეთ იმ საღამოს, _ "ამისთვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ ჩემს, მშობლიურ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, მის დირექტორს, აწ გარდაცვლილ მაყვალა ჩაჩუას, დღეს კი ტატა გოგუაძეს, ბატონ ჯონი ნადირაძეს, რომელმაც საშუალება მომცა, მიმეღწია დასახული მიზნისათვის. მადლობას მოვახსენებ, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს ხელმძღვანელობას, საგანმანათლებლო რესურსცენტრს, გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციას, კულტურის განყოფილებას, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელს, ვეფხია ნადირაძეს; უღრმესი მადლობა ჩემს ყოფილ მოსწავლეებს, რომლებიც თბილისიდან ჩამოვიდნენ და გამახარეს: მამუკა გერაძეს, ირაკლი კაცაძეს, ნიკა შენგელიას, მამუკა შენგელიას, ია კაშიას, ლაშა გიგინეიშვილს, მამუკა მხეიძეს. არ შეიძლება ასევე არ მოვიგონო ის ხალხი, ვინც მთელი პირველი პერიოდის განმავლობაში მყარად მედგა გვერდით; ქალბატონი ვერა კუტალაძე _ ნოღის საშუალო სკოლის დირექტორი და № 6 საშუალო სკოლის პედაგოგი ზოია სტურუა. მადლობა ქალბატონ ელიკო ანკვაბს, ნათელა გელეიშვილს, მოსწავლეებს, პიონერხელმძღვანელებს, სამტრედიელ მოქალაქეებს, მეცნიერ-მუშაკებს, რომლებიც რეგულარულად ჩამოდიოდნენ თბილისიდან, არ გვაკლებდნენ კონსულტაციებს".

...

ქალბატონი გულიკო! სიყვარულით და გულწრფელობით სავსე თქვენს საიუბილეო საღამოს არც აკადემიურობა აკლდა. ნამდვილი ზეიმი გაგიმართეს თქვენმა უმცროსმა კოლეგებმა იმ სახლში, სადაც ყოველთვის მიგიხარიათ გუნდრუკი უკმიეს ადამიანისეულ ღირსეულ თვისებებს, იმიტომ, რომ თქვენ თავად ბრძანდებით ღირსეული. იმაზე მეტს ვერ გეტყვით, რაც უკვე გითხრეს, უბრალოდ, შევეცადე ამ სტატიისთვის ღია წერილის ფორმა მიმეცა. ალბათ, იმიტომ, რომ თქვენდამი პატივისცემის დადასტურებას ასე უკეთ შევძლებდი.

პროექტში მამარჯვებული ლათო კვირცხალია სამტრედიას ესტუმრა

ქეთევან ჭელიძე

"აწკრიალდა ზარი და აჟრიამულდა პირველი არხი!" _ დავით ველიჯანაშვილი წამყვანის ამპლუას ირგებს და იმიტირებულ საკლასო ოთახში მოსწავლეებს რიგ-რიგობით იძახებს.

ამერიკული მედია კომპანიის Metzo-Goldwyn-Mayez-ის პროექტის "ხართ თუ არა VI კლასელზე ჭკვიანი?" ანალოგიური გადაცემა საქართველოს ტელე-სივრცეში რამდენიმე თვეა გადის.

"ჩვენ შევიძინეთ ეს პროექტი და პირველად გავაკეთეთ საზოგადოებრივ მაუწყებელზე. აქ ცნობილ ადამიანებს ეხმარებიან მეექვსეკლასელები, ანუ სკოლის ჯგუფი. კითხვები მეექვსე კლასის ჩათვლით პროგრამიდან არის. შევარჩიეთ ყველაზე ნიჭიერი, არტისტული, მონდომებული ბავშვები და დავაკომპლექტეთ ჯგუფები". _ აღნიშნავს ჩვენთან საუბარში რეჟისორი თემურ კვირკველია.

ერთ-ერთი ასეთი ცნობილი ადამიანი მსახიობი დავით კვირცხალიაა. მან წარმატებით ითამაშა VI კლასელებთან ერთად და 2000 ლარი მოიგო. რადგან პროექტი ქველმოქმედებაზეა ორიენტირებული, ბატონმა დავითმა აქცენტი თავის ყოფილ მეორე საშუალო და ახლანდელ მე-11 საჯარო სკოლაზე გააკეთა. საჩუქრებით ხელდამშვენებული ჩამოვიდა იგი სამტრედიაში და სკოლას პიანინო და მისთვის აუცილებელი სპორტული ნივთები გადასცა. მას თემურ კვირკველიასთან ერთად აღმასრულებელი პროდიუსერი მარიამ ჩუბინიძე, ტექნიკური პროდიუსერი აკო ქორქია და ოპერატორი გიორგი ჩუბინიძეც ახლდნენ.

სტუმარს დილიდან ელოდნენ სკოლაში, მის შესახვედრად მოვიდნენ ასევე, მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მოადგილე დავით ბახტაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტები ალექსანდრე თევზაძე და გია აბრამიძე.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი, მრავალი სატელევიზიო და თეატრალური როლის შემსრულებელი მაყურებელმა ამჯერად გრიშა კაკაჩიას როლით შეიყვარა ფილმში "ჩემი ცოლის დაქალები".

ნიჭიერების არანაკლები ზეიმი მე-11 საჯარო სკოლაშიც ელოდა მსახიობს, თბილი, მადლიერებითა და სიყვარულით სავსე შეხვედრა მოუწყვეს აქ. რაც ელენე კიწმარიშვილმა დავით კვირცხალიას ცხოვრებისა და შემოქმედების ირგვლივ მოკლე ექსკურსი გააკეთა, მოსწავლეთა მონაწილეობით სცენა რამდენიმე მხატვრულ ნომერს დაეთმო. ყურადღებითა და მოწონებით სავსე ღიმილით უსმენდა საპატიო სტუმარი თორნიკე ბოლქვაძეს, ანსამბლ "ლილეს", სკოლის მუსიკალურ ჯგუფს, მარიამ ლორიას, მარიამ ტორონჯაძეს, ნიკო ბარდაკოვს, მარიამ ბარბაქაძესა და ოთო ბუაძეს.

სამტრედიასთან დაკავშირებულ მოგონებებზე ისაუბრა ბატონმა დათომ. თავისი პირველი ნაბიჯებიც გაიხსენა შემოქმედებით ასპარეზზე, ამ ქალაქიდან რომ იწყება. მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები მოსწავლეებსაც გასცა.

სტუმრისადმი მადლიერება გამოხატა სკოლის დირექტორმა ლენა ხაჟალიამ. აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათი სკოლისათვის ბატონი დათოს ეს დახმარება. მსახიობს დავით ბახტაძე და ალექსანდრე თევზაძეც მიესალმნენ, ბატონმა კობამ კი კვირცხალიებისა და ძიძიგურების ოჯახების ტრადიციულ ურთიერთობებზე ისაუბრა. თბილი სიტყვები არ დაიშურეს და მოგონებებით გამოვიდნენ პედაგოგები ლუდმილა სტურუა და ზოია დოლიძე.

"ბატონი დათოს სტუმრობა ჩვენთვის ორმაგად სასიამოვნოა, რადგან იგი წარმოშობით სამტრედიელია. ყველასათვის საყვარელი მსახიობია დიდი სიხარული და მუხტი შემოიტანა, თავის მშობლიურ სკოლას მან კარგი საჩუქარი გაუკეთა". _ აღნიშნა ვალერიანე ფოცხვერიამ.

გულთბილი შეხვედრის შემდეგ ავტოგრაფებიც დაარიგა მსახიობმა. "სამტრედიის მაცნესთან" კი პროექტში მონაწილეობის დეტალები გაიხსენა და კმაყოფილება გამოთქვა, საშუალება რომ მიეცა, მის მშობლიურ სკოლას დახმარებოდა.

მალე ბატონ დათოს კიდევ ერთ ქართულ ფილმში ვიხილავთ, რომლის გადაღება სულ ახლახან დაასრულა რეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ და "მინდვრის ყვავილები" ჰქვია.

"ღამე მუზეუმში"

თეატრალიზებული საღამო თემაზე _ "თავისუფლების სამი წელი, რომელიც საუკუნეებს გადაწონის" _ ქუთაისის, სამტრედიისა და დიდი ჯიხაიშის მოსწავლე-ახალგაზრდების მონაწილეობით გაიმართა.

აქციის _ "ღამე მუზეუმში" მასპინძელი დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი და მისი მთავარი დიასახლისი, ლია ბიბილეიშვილი გახლდათ.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს მიუძღვნეს დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის პედაგოგ ნინო მელუას ნორჩმა მხატვრებმა თავიანთი ნამუშევრები, რომლებიც მუზეუმის ეზოში, ღია ცის ქვეშ დიდი სცენის გვერდით გამოეფინათ.

თეატრალიზებული საღამო გახსნა მუზეუმის დირექტორმა, ლია ბიბილეიშვილმა. აქციას "ღამე მუზეუმში" სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური შეუერთდა. ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. სხვადახვა ფესტივალ-კონკურსებში გამარჯვებულმა ახალგაზრდებმა საკუთარი შემოქმედება თემატურად მუზეუმის საერთაშორისო დღეს მიუძღვნეს. კონცერტში მონაწილეობდნენ: ქალთა ანსამბლი "ათინათი", ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "სამტრედია", ქორეოგრაფიული ანსამბლი "ლილე", ანსამბლ "ფანტაზიას" ხელმძღვანელი ქრისტინე ზაქრაძე, ინდივიდუალური შემსრულებლები სალომე თევზაძე, მარიამ მსხილაძე, ნინო თავაძე, ნორჩი პიანისტი ქეთი ზარიაშვილი, საღამოს უძღვებოდა მომღერალი ბექა თევზაძე.

ღონისძიების ორგანიზატორი ტრადიციულად საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროა. აქციის ფარგლებში საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმი დამთვალიერებელს სრულიად უფასოდ მასპინძლობდა, ვიზიტორები თავად გახდნენ იმ კულტურული ღონისძიებების მონაწილენი, რომელიც აქციის ფარგლებში ჩატარდა.

აქციას "ღამე მუზეუმში საფუძველი 2005 წელს ევროსაბჭომ ჩაუყარა და მას შემდეგ რეგულარულად ტარდება ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში. მოგვიანებით აქციამ ფართო მასშტაბები მიიღო და გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

აქციის "ღამე მუზეუმში" ტრადიციად დამკვიდრების ინიციატივით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 2015 წელს გამოვიდა.

"ღამე მუზეუმში" ქუთაისის ახალგაზრდა მარჯანიშვილელების დასმა დაასრულა. მათ თემატური, კოსტუმირებული პერფორმანსი წარმოადგინეს.

მუზეუმის დირექტორმა მადლობა გადაუხადა კვირეულში მონაწილეებს და კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობებში გამარჯვებული ახალგაზრდები სიგელებითა და წიგნებით დააჯილდოვა.

ნინო ანანიაშვილი

ენერგიული, ხალისიანი, იუმორით დატვირთული ბოლო ზარი

ნათია ნაცვლიშვილი

ერთი მათგანი ჰილარი კლინტონს შეხვდა, მეორე _ ანჯელინა ჯოლიმ წვეულებაზე მიიწვია, მესამე _ ჯასტინ ტიმბერლეიკმა, მეოთხე ოსკარზეა წარდგენილი, მეხუთე _ დონალდ ტრამპს ხვდება, მეექვსე _ ანდრეი შევჩენკომ სათამაშოდ მიიწვია... იმას, რაც აქ, ნაბაკევის სკოლაში ვერ შეძლეს, ამერიკასა და იაპონიაში შეძლებენ, ზოგი საუზო ბიზნესის მფლობელი ხდება, ზოგიც _ ამერიკაში ავტოსკოლის. დიახ, ყველა ავანტიურისტული ოცნება გამართლებულია, როცა სკოლაში ბოლო ზარია და გამოშვების ზეიმი, ახალგაზრდული მაქსიმალიზმი და საკუთარ ძალებში დაბრუნება პიკს აღწევს. ხუმრობის, ცეკვის, სიმღერის დღესასწაულია. ძალიან მუსიკალური, ენერგიულები და გონებაგახსნილები არიან მოსწავლეები. ოცდასამივე საინტერესოდ წარადგინეს და წითელ ხალიჩაზე გამოატარეს, ვინ იცის, იქნებ სულაც არაფერია სახუმარო, ბევრი მათგანი მართლაც შეახვედროს ცხოვრებამ იმ სელებრითებს და პოლიტიკურ ფიგურებს, იუმორისტული წარდგენისას რომ ახსენეს.

ნაბაკევის სკოლის ბოლო ზარის ზეიმი მართლაც გრანდიოზულია, ეზო იძლევა საშუალებას, მაყურებელი ბლომად დაიტიოს. აპლოდისმენტიც ბევრია და ხანგრძლივი...

სიმღერით ეუბნებიან პედაგოგებს, 12 წელი "ჩვენც ვიწვალეთ და თქვენც გაწვალეთ, "საატესტატოზე ბევრი გადაგვხდენიაო..." "ვალენტინობა სულ არ არის ძნელიო." ძალზე საინტერესო მინიატურებში მათი ყოველდღიური ყოფა გააცოცხლეს, თანაც მძაფრი იუმორის თანხლებით. გაიცანით, ეს რატი გველესიანია, რესტორნის მომღერალი, თან შეკვეთებს ასრულებს, პარალელურად რამდენიმე საქმეს ითავსებს, როგორც ითხოვს დღევანდელი ცხოვრება, შიგადაშიგ მეუღლის ზარებს პასუხობს, რომელმაც ძროხა ვერ დაბა და საქონელს ტელეფონით უყვირის: "დიდო ბოჩოლა, "იმერული ესკიზებისა" არ იყოს, ცოლს აფრთხილებს, ჩალის დაგდება არ დაავიწყდეს საპირეში და ჰიგიენის ნორმის დაცვა მოწველის წინ... არანაკლები ხალისი გამოიწვია პედაგოგებთან მოსწავლეების დამაბნეველმა ინტერვიუებმა.

განსაკუთრებული სითბოთი პირველ მასწავლებელს მაია გაგუას მიესალმნენ, მანაც დალოცა მოსწავლეები, წარმატებული მომავალი უსურვა, ასევე განსაკუთრებულად თბილად კლასის დამრიგებელი, სოფიკო ტრაპაიძე დაახასიათეს, როგორც ენერგიისა და ენთუზიაზმის ადამიანი. დედობრივი სიყვარულით დაულოცა მან გზა ახალგაზრდებს და ასე მიმართა: "ყველა ცხოვრებისეული წინააღმდეგობა გადაგელახოთ, იყავით ისეთივე ლამაზები, როგორც ყვავილებს შორის ვარდია და წელიწადის დროებს შორის _ გაზაფხული. მეამედებით და მეამაყებით ჩვენო ძვირფასებო, მიყვარხართ..."

აჭარული, ოსური, რაჭული, ინდური... უამრავი ცეცხლოვანი ცეკვა შესრულეს ბავშვებმა. მათ ამ შემოქმედებით ნიჭს განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი მისასალმებელ სიტყვაში თავადაც ძალიან შემოქმედებითმა ადამიანმა, სკოლის დირექტორმა, ეკა ჯამბურიამ: "ჩვენო ძვირფასებო, ძალიან ლამაზები ხართ, ელასტიურები, ენერგიულები, თქვენს შემოქმედებითობაში, მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი მიმიძღვის, ნამდვილად საამაყონი ხართ, გისურვებთ ცხოვრების გზაზე დიდი წარმატებისთვის მიგეღწიოთ, გვეამაყოს თქვენით".

ნიჭიერი ახალგაზრდების სიხარული მერის წარმომადგენელმა ნაბაკევის თემში ვეფხია წულეისკირმა გაიზიარა და სიამაყით განაცხადა: "მიხარია, რომ ასეთი შესანიშნავი დღეა ჩემს მშობლიურ სკოლაში, თქვენ შეუდარებლად ლამაზი წარმოდგენა გვაჩვენეთ, სიამაყით მინდა ვთქვა: დღეს მეც მეთორმეტე კლასელი ვარ, უამრავ წარმატებას გისურვებთ ახალგაზრდებო!"

ამ საინტერესო და შინაარსიანი დღის შემოქმედი ზიკო ჯინჭარაძე გახლდათ. სცენარსა და რეჟისურაზე მან იმუშავა. არანაკლებ საინტერესო სარეკლამო ვიდეორგოლი მისი დახმარებით მოამზადეს ნაბაკევის მოსწავლეებმა, ვიდრე ღონისძიებაზე სტუმრებს მიიწვევდნენ.

"ყველაზე წიგნიერის" გამარჯვებული მესამე სკოლაა

ნათია ნაცვლიშვილი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა პარლამენტის კიდევ ერთი საინტერესო აქტივობა _ ინტელექტუალური თამაში "ყველაზე წიგნიერი" ჩატარდა. ღონისძიება "ევროპის დღეები 2018-ის" ფარგლებში გაიმართა. აქციის მხარდამჭერი იყო "საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის" შესახებ. ინტელექტუალურ შერკინებაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 8 გუნდი ჩაერთო. სამტრედიის პირველი, მესამე, მეოთხე, მეათე, მეთორმეტე, დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლების, მართლმადიდებლური სკოლის და სკოლა "ცოდნის" მოსწავლეები. სამკაციანმა გუნდებმა სამი ტური ითამაშეს. თითოეულ ტურში 7 შეკითხვა დაისვა. კითხვები იყო ხელოვნების, ლიტერატურის, ისტორიის, სპორტისა და მითოლოგიის სფეროდან. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ სამტრედიის ინტელექტუალთა გუნდის "ინტერსტელარი" წევრები ირაკლი ცირეკიძე, ლაშა ლორია და წმინდა მოწამე ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლე ეკატერინე ტურძელაძე. კითხვების პაკეტი ეკატერინე ტურძელაძემ და "ინტერსტელარის" წევრმა დავით მანჯგალაძემ მოამზადეს. მესამე ტურში გადავიდნენ მესამე სკოლა 8 ქულით, პირველი სკოლა 6 ქულით, მე-4 სკოლა 4 ქულით, სკოლა "ცოდნა" 3 ქულით. საბოლოოდ, საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა: მესამე ადგილი _ პირველი სკოლა, მეორე ადგილი _ სკოლა "ცოდნა", პირველი ადგილის მფლობელი კი მესამე საჯარო სკოლის გუნდი გახდა. გუნდმა არაერთი ოქროს ქულა აიღო. უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან დრამატული იყო ბლიც ტური, სადაც განსაკუთრებულად იაქტიურეს სკოლა "ცოდნის" გუნდის გოგონებმა.

შეხვედრის ბოლოს "საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" წარმომადგენელმა, მარიკა ვაჭარაძემ აღნიშნა: "5 მაისს დაიწყო და უკვე სრულდება "ევროპის დღეები 2018", ამ თარიღის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა სკოლაში უამრავი ღონისძიება ეწყობა, მივესალმები და მადლობას გადავუხდი მონაწილე გუნდებს. ყველა მათგანს ვასაჩუქრებთ წიგნებით, მაისურებით, გამარჯვებულ გუნდებს ასევე გადავცემთ საუკეთესო გამოცემებს "საქართველოს 100 მუზეუმი". გისურვებთ წარმატებებს".

მესამე სკოლის გამარჯვებული გუნდის კაპიტანი ავთანდილ უჯმაჯურიძე: " გამარჯვებას არ ველოდი, რადგან "ინტელექტუალურ შეჯიბრზე "რა? სად? როდის?" ცოტა სხვაგვარი სიტუაცია იყო. ჩვენ მაშინ ვერ გამოვიჩინეთ თავი, მადლობას ვუხდი ჩვენს მენტორს, დავით მანჯგალაძეს და ისტორიის პედაგოგს, ანა ლეჟავას. ასევე ჩვენი სკოლის დირექტორს, ვენერა ივანიშვილს."

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტის აქტიური მხარდამჭერია სამტრედიის რაიონული პროკურორი მალხაზ გეწაძე. შეხვედრის შემდეგ მას "სამტრედიის მაცნემ" კომენტარი სთხოვა: "ძალიან კარგი ბავშვები არიან, განსაკუთრებულად ის არის მოსაწონი, რომ მათი უშუალო ჩართულობით მიმდინარეობდა ღონისძიება. აბსოლუტურად გულწრფელად ვამბობ, ნიჭიერი მომავალი თაობა გვყავს, ხანდახან შეიძლება გავიფიქროთ, რომ ახალგაზრდები შორს არიან წიგნისაგან, მაგრამ დღევანდელმა დღემ ცხადყო, რომ ეს ნამდვილად არ არის ასე. აქ დღეს დაისვა კითხვები, რომელთაც პასუხებს მხოლოდ ნიჭის წყალობით ვერ გასცემდი, თუ არ გქონდა წაკითხული გარკვეული ლიტერატურა. ძალიან კმაყოფილი ვარ".

ხვალ სხვანაირად თენდება

თეა ბაბუნაშვილი

სულ ერთი დღით ადრე რუსთაველი ღელავდა, ვისთვის მისადებად, ვისთვის მიუღებლად! ეს სხვა თემა იმიტომ არ არის, რომ იმ თაობაზე უნდა ვისაუბროთ, მათსავით ხვალ რომ უნდა ჩაიბაროს სამშობლო, იბრძოლოს და იშრომოს, ქვეყნის სიძლიერედ ოჯახის ჭაპანი სწიოს, ფუნჯით თუ საჭრეთელით, კალმით თუ თოხით ხვალინდელი დღე ბედნიერი გაათენოს, დილით შეგებებული სიმინდის ლახვრით ცვრიან ბალახზე ფეხშიშველმა გაიაროს და შეიგრძნოს რაა მამული! ერთ პატარა ქართულ ქალაქში მესამე საჯარო სკოლა ისევ და ისევ ემშვიდობებოდა საკუთარ აღსაზრდელებს, კიდევ ერთ თაობას, ამ კედლებში რომ დაფრთიანდნენ.

სასწავლო წლის ბოლოს, როგორც ჩვევიათ ხოლმე, კიდევ ერთი გამოშვება საკუთარ "ბოლო ზარზე" ეპატიჟებოდა მათ, ვისგანაც გზის დალოცვას ელოდა ცხოვრების დიდ შარაგზაზე გასვლის წინ.

აქ იყო ყველა, იყვნენ მეგობრები, მოსწავლეები, მასწავლებლები, იყვნენ მშობლები, ყველაზე უფრო რომ უხაროდათ უკვე გაზრდილი შვილების ნახვა. ჩვენთვის კვლავ პატარები არიან, მაგრამ თვალსა და ხელს შუა გაფრენილაო, დრო! _ ამბობდნენ თვალცრემლმორეული დედები. პირველი მასწავლებელიც ესტუმრათ და... მასთან შეხვედრის გულწრფელი ემოცია იმ სიტყვების გახსენებით კიდევ უფრო გაათბეს, სკოლაში პირველად მისვლისას თვალებგაფართოვებულ ცუგრუმელებს წლების შემდეგაც იგივე სითბოთი რომ ახსოვთ _ "მოდით ჩემო მერცხლებო". ხათუნა კოსტავა ახლაც იმგვარი სითბოთი ულოცავდა გზას საკუთარ პირველ კლასს, როგორითაც 12 წლის წინ გულში ჩაიკრა ისინი.

სკოლის დირექტორი ვენერა ივანიშვილი გზას ულოცავდა კეთილი სურვილებით და იმედით, რომ "გვჯერა ყველა მიზანს მიაღწევთ წინასწარ დაგეგმილს, გვასახელებთ. ჩვენც ისევე გვეამაყებით და გვეამედებით, როგორც თქვენს შშობლებს, რადგან 12 წელია თქვენი მეორე ოჯახი ვართ. თქვენი წარმატებები ჩვენი სკოლის წარმატებები იქნება."

და იყო კიდევ ერთი მასწავლებელი, პირველ კლასში რომ ასწავლიდა ახლა უკვე მე-12 ბ-ს. იგი არც მეტი, არც ნაკლები, რეჟისორი ვეფხია ნადირაძეა. ამ გოგო-ბიჭებმა კი ხელოვნების მასწავლებლად გაიცნეს. ვეფხია ნადირაძე იხსენებდა: "თქვენთან გაკვეთილზე იმხელა სითბოთი ვივსებოდი, თქვენგან წასულს სხვა სამსახურში უდიდეს ენერგიად რომ მყოფნიდა. ეს სითბო მთელი კვირა მიმყვებოდა. ისიც მახსოვს, თქვენთან ორშაბათობით მქონდა გაკვეთილი."

კლასის ხელმძღვანელი? ის თითო ვარდი, ყველა მათგანმა სათითაოდ რომ მიართვა, უდიდესი სიყვარულის სურნელს აფრქვევდა. "ეს იმისთვის, რომ..." და მერე ყველაფერი მოაყოლეს, რაც თეა კუპრეიშვილთან აკავშირებდა 12-ე ბ-ს. . ეს "ყველაფერი" კი დიდი სითბო ყოფილა, სიყვარული, გულში ბავშვობის ბედნიერ წლებად რომ ამოიკვეთა.

ხვალ სხვანაირად თენდება, ხვალ უფრო თბილი იქნება მზე _ სჯეროდათ ბუდიდან ასაფრენი მერცხლებივით ანთებულ გოგო-ბიჭებს. ამ დღეს ცრემლი მხოლოდ ბედნიერებისა იყო, ბედნიერება კი დიდფანჯრიანი სკოლის ლამაზი ეზოს ყველა კუთხეში იდგა. კიდევ ერთი თაობა ემშვიდობებოდა იმ კედლებს, იმ მერხებს, ხვალის იმედად რომ დატოვებს საკუთარ ავტოგრაფს მესამე საჯარო სკოლის ისტორიაში.

ცეკვა, სიმღერა და ლექსი განსაკუთრებულად მორთულ სცენაზე ერთმანეთს სცვლიდა იმ დღეების მოსაგონრად, სკოლაში გატარებული წლების ბოლო ზარად რომ დაირეკა უჩვეულოდ დაღამებულ იმ ჩვეულებრივ დღეს.

მერე ფეიერვერკად აენთო ცაში ანთებული ოცნებები, მერე კიდევ ერთხელ დაირეკა სკოლის ზარი და აცრემლებული თვალები ისევ გამოემშვიდობა წლების შემდეგ მოსანატრებელ ფერად ბავშვობას.

თეა ბაბუნაშვილი

დრო დროზე ჩქარა მიჰქროდა

ჭრელაჭრელა მოსაწვევი გამოგვიგზავნეს. ჰოდა, ჩვენც წავყევით მიწვევას იქ, სადაც ყოველი დილა მზის ღიმილით თენდება, სადაც სიცოცხლით აჟრიამულებულ ეზოს ასწლოვანი ჭადრები ჩრდილავს. და საერთოდ, აქ საუკუნეზე მეტია, უკვე 125 წელია, მზესთან ერთად იღიმება ყოველი დღე. მე-12 საჯარო სკოლაში, ისტორიული ძეგლის სტატუსი მალე რომ მიენიჭება, კიდევ ერთ, 124-ე გამოშვებას დაულოცეს გზა ლაჟვარდებად აფერადებული ბავშვობიდან ცხოვრებისეული გამოცდილებებით დატვირთული გზების გასავლელად.

მანამდე კი, საკლასო ოთახში, მერხებს ბოლო რამდენიმე წელია მეთორმეტე კლასელები, ახლა კი მათ გამოსაშვებ საღამოზე მისული სტუმრები უსხდნენ. ისინი ადგილობრივი ხელისუფლების და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები გახლდნენ, მათ შორის არაერთი ამ სკოლის ყოფილი მოსწავლე, დღეს უკვე წარმატებული მოქალაქე. ყველაფერს დავთმობდით, ოღონდ ახლა მათ ასაკში ვიყოთო, ყველაფერსო და ამ ყველაფერთან თანამდებობა რა მოსატანიაო, ღიმილით განაცხადეს პარლამენტარმა გია მიქელაძემ, მუნიციპალიტეტის მერმა ვალერი ფოცხვერიამ და რაიონულმა პროკურორმა მალხაზ გეწაძემ. მერე იმ მტკივნეულ თემას შეეხო საუბარი, ქვეყნიდან წასული მშობლები და აქ დარჩენილი შვილები რომ ჰქვია. ეს ის დღეები გახლდათ, ჯერ ისევ გამოყოლილი რომ ჰქონდა საზოგადოებას რუსთაველზე შეკრებილთა დამფიქრებელი ხმაური.

მერე კი, მერე სკოლის ეზოში იხმეს სტუმრები, საგანგებოდ მორთულ ეზოში სადაც მხირულად გაიხსენეს სწავლის ყველა წელი, ყველა კლასი და გაკვეთილი. ზომიერი სითამამით გაეხუმრნენ პედაგოგებს და მათი პირველი მასწავლებლის, მედეა გეგეშიძის ახლანდელი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებისგან პატარა სიურპრიზიც მიიღეს. მათ მეთორმეტეკლასელებს მედეა მასწავლებლის "შეგონებები" მხიარული ლექსებით "გადაამეორებინეს" და ანთებული სანთლებით დაულოცეს გზა.

კეთილი სურვილები საგზლად გაჰყვათ პედაგოგებისგან, და სკოლის დირექტორისგან, რომელიც ამჯამად გერმანიაში ტრენინგებს თავად ატარებს. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ონიანი ვინ მოსთვლის მერამდენედ ულოცავდა მათ გზას.

თვალცრემლიანი ემშვიდობებოდა "თავის ბავშვებს" დამრიგებელი მარინა ადეიშვილი. "მართალი უთქვამსო, ვინც თქვა, ათასი ბავშვის მშობელია მასწავლებელი და მშობელს ხომ ცრემლამდე უყვარს, ცრემლამდე უხარია და სტკივა საკუთარი შვილი." _ ამბობდა იგი.

თუმცა დიდი ტკივილი მიჰყვებოდა ბავშვობიდან სულ ახლა დაწყებულ მათ ფართო შარაგზას, ბავშვობის მეგობრის, თანაკლასელის გათმანეთსა და აქ დარჩენილ მოსწავლეებს გულიანად უმღერდნენ "შენ და მე ... გაგვაჩინა მზემ!"

ოცნებაში დათენებული ღამეების ხიბლით გათენებული დილის ფერადოვნებას საგზლად წაიღებენ ბავშობის, მოსწავლეობის ამ უძველესი კერიდან. იმ დღეს ამაღლება იზეიმა მართლმადიდებლურმა სამყარომ. ამაღლების მადლი ლოცვად გაატანა მშობლიურმა სკოლამ კიდევ ერთ თაობას, სკოლამ, სადაც საუკუნეზე მეტია მზე ბავშვების გულწრფელი ჟრიამულით იღიმება.

რდაცვალებით დაწყებული ტკივილი _ გაგა ადეიშვილი ვერ გაათენებს ოცნების ღამეს მათთან ერთად. სასაფლაოს გულისწამღებ მდუმარებას თანაკლასელების მოკრძალებული ცრემლი შეერია დანაპირებად _ არ დაგივიწყებთ!

"დრო დროზე ჩქარა მიჰქროდა" _ და ასე მხოლოდ სიმღერაში არ იყო, დრო მართლაც ჩქარა მიჰქროდა თურმე, რადგან იმ პატარა გოგო-ბიჭებიდან, მე-12 საჯარო სკოლას რომ ანდეს მშობლებმა, ქვეყნის ხვალინდელი დღის მესაჭეები გაიზარდნენ და ახლა, ბინდში ჩაძირულ მშობლიური სკოლის ეზოში ერ-

"დედაენა ცოდნის ჯიდობანია"

ნათია ნაცვლიშვილი

მე-12 საჯარო სკოლაში ვართ, მარინა მამასახლისმა, მრავალწლიანი პედაგოგიური სტაჟის მქონე პედაგოგმა კიდევ ერთი პირველი კლასის გამოშვების ზეიმზე მიგვიწვია. მიდიან და მოდიან თაობები, ხმიანობს მრავალწლიანი ისტორიის მქონე სკოლა, კვლავ უცვლელია პედაგოგების დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი, მოსწავლეებისა _ სამშობლოსადმი, რომელსაც პედაგოგთა დახმარებით, ჯერ მხოლოდ ლექსით და სიმღერით ეფერებიან, ვიდრე რეალურ გმირობას დაუმტკიცებენ საქმითა და პროფესიონალიზმით.

"ჩემო სამშობლოვ, ეს მე მოგმართავ მხევალი შენი, დაჩოქილი ვარ, შენს წინაშე, სახატევ ჩემო!" _ მიმართავს თვალებციმციმა გოგონა, ბიჭი კი ვაჟკაცური ტონით, შემართებით ამბობს: "რამდენი ლამაზი სიცოცხლე ჩამქრალა შენი ლამაზი გაზაფხულის დასაცავად, ჩემო მამულო!" დიახ, ძლიერი და წიგნიერი თაობა გვყავს, ერთობ თავდაჯერებული და ნიჭიერი.

ლექსსა და სიმღერას ტოლი არც ცეკვამ დაუდო! სხვანაირად არც შეიძლება, დარბაზში ქორეოგრაფი ჟორა კეშელავა ზის, თაობები რომ აზიარა ცეკვის სიყვარულს, ახლა საკუთარი შვილთაშვილის, საბა შენგელიას მხარდასაჭერად მოვიდა. მან მომზადა მოსწავლეები და პატარებმაც ბრწყინვალე ქორეოგრაფიული ნომრები წარმოადგინეს. მუსიკალურ მხარეზე კი, როგორც ყოველთვის, პედაგოგი ლელა გოლიაძე ზრუნავს, ბავშვები შესანიშნავად მღერიან, "ჰერი ჰერის", "ჰაი დილილმეს", "ანაბანას", "ლალეს"... იაკობსა და მის უკვდავ "დედაენაზე" გვესაუბრებიან. ხატია და სოსოიაც მოიხმეს. მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება: "ეს რა ანათებს? ეს წიგნია ხატია, დედა-ენა ცოდნის კიდობანია... "დედაენამ" თვალი ამიხილა, თვალის ჩინი დამიბრუნა, თქვენ გხედავთ ბავშვებო! _ ამბობს ხატია.

ბებია, ბებია, სოფელში მოვდივარ!... დასძახა წითურმა გოგონამ "იმერული ესკიზების" ცნობილ პერსონაჟს რომ მოაგავს და კლასმა სიმღერაც წამოიწყო: "როცა მომენატრება ჩემი ტკბილი ბებია, სოფლისაკენ გავუყვებით გზას"... ფინალურ აკორდად კი "დაჰკარით დაფდაფებს" ააჟღერეს.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო ონიანმა მადლობა გადაუხადა პედაგოგს, ბავშვებს და მშობლებს ლამაზი ღონისძიების გამო და აღნიშნა: "ბევრი რამ გისწავლიათ ბავშვებო, გიყვართ სამშობლო, სწავლის ფერხულში ჩაებით, ეს დიდი და ლამაზი გზის დასაწყისია, თითოეულ თქვენგანს დიდ წარმატებებს ვუსურვებ, კარგად მეტყველებთ, მღერით, ცეკვავთ, ბედნიერ ზაფხულს გისურვებთ, რათა მომდევნო წლიდან ახალი ენერგიით და შემართებით დაიწყოთ სწავლა". ნინო ონიანმა მოსწავლეებს პირველი კლასის დამთავრების გამო სიგელები გადასცა და წარმატებები უსურვა.

ფესვები

მას საქართველო უყვარდა ძლიერ

კიდევ ერთ სახელოვან თანამემამულეს გავიხსენებთ რუბრიკაში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის საუკუნოვან იუბილეს ეძღვნება.

სამტრედიის სინამდვილეში ერთ-ერთი უძველესი გვარის, გელეიშვილების ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ ბატონი **პეტრე პავლეს ძე გელეიშვილი.**

1870 წელს დაიბადა იგი. ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგში მიემგზავრება და მუშაობას იწყებს ივანე თარხნიშვილის ჟურნალში მდივნის თანამდებობაზე. ამავდროულად რუსული გაზეთებისა და ჟურნალების ამიერკავკასიის განყოფილებასაც განაგებდა. წლების მანძილზე იყო ქალაქ ბაქოს თვითმმართველობის მდივანი.

პეტრე გელეიშვილი გახლდათ აქტიური საზოგადო მოღვაწე. სწორედ მის სახელს უკავშირდება სამტრედიაში პირველი სამკითხველოსა და წიგნის პირველი მაღაზიის გახსნა. მის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე სამტრედიასა და მის სოფლებში არაერთი მასობრივ-კულტურული და შემეცნებითი ღონისძიების დანერგვა და მათი შემდგომი პოპულარიზაცია.

ბატონი პეტრე "ყარიბის" ფსევდონიმით წერდა, იგი ცნობილი იყო აგრეთვე როგორც მწერალი და პუბლიცისტი.

აქტიური საზოგადო მოღვაწის დიდი აღიარება იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრად მისი არჩევა.

ბატონ პეტრეს წილად ხვდა აგრეთვე უდიდესი პატივი _ ხელი მოეწერა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე _ დამოუკიდებლობის აქტზე (მეთერთმეტე ხელწერა).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, გაითვალისწინეს მისი უზარმაზარი შესაძლებლობები და დანიშნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხანაგად (მოადგილედ).

67 წლის ასაკში გარდაიცვალა ბატონი პეტრე გელეიშვილი.

დღეს, როცა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ფართოდ, ზეიმით აღინიშნება საუკუნოვანი იუბილე პირველი ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ღირსეული მამულიშვილი, მთელი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს კეთილდღეობას, მის დამოუკიდებლობასა და ძლიერებას რომ მიუძღვნა.

ლევან გაბეჩავა

ეს ფოტოც ისტორიას ჰყვება

მიდის დრო, ის რაც დღეს არის, ხვალ, ზეგ... უკვე ისტორიის კუთვნილებაა.

ფოტო, რომელიც პირადი არქივიდან ჭადრაკში ეროვნულმა ოსტატმა, ბატონმა მერაბ არჩვაძემ მოგვაწოდა, 1974 წლის 12 ოქტომბერს ნიკორწმინდაშია გადაღებული, სადაც სამტრედიელი მოჭადრაკეები საქართველოს 1974 წლის გუნდურ პირველობაში მონაწილეობდნენ.

ფოტოზე აღბეჭდილნი არიან: ბეჟან ჩხაიძე, ნოდარ ლეკვეიშვილი, ვიქტორ შალიაპინი, აკაკი გოგიშვილი (სპორტკომიტეტის წარმომადგენელი) მერაბ არჩვაძე (კაპიტანი), ვაჟა ტერელაძე, ანზორ მაჩიტიძე.

აქვე მეორე სურათზე გამოსახულნი არიან ქალბატონები ირინა ჯანელიძე, ნატო მელია, რომლებიც ასევე ამ გუნდში ირიცხებოდნენ.

რაკიღა გუნდის სხვა წევრებთან გადაღებული მათი სურათები ბატონ მერაბს არ აღმოაჩნდა, მისი თხოვნით ქალბატონებმა ფოტო ახლახან გადაიღეს.

"... ტურნირის დახურვისას ამბროლაურის რაიონის პირველმა მდივანმა ა. შარაბიძემ ცხაკაიისა და სამტრედიის მოჭადრაკეებს, როგორც გათამაშების პრიზიორებს, გადასცა თასები და სიგელები. მანვე დააჯილდოვა სამტრედიის მეორე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი მოსწავლე ნატო მელია და სპორტის ოსტატობის კანდიდატი მერაბ არჩვაძე თავიანთ დაფებზე საუკეთესო შედეგებისათვის". _ ვკითხულობთ გაზეთ "წინსვლის" ერთ-ერთ ნომერში.

სასიამოვნოა, რომ ჭადრაკი დღესაც უყვართ სამტრედიაში.

ლევან გაბეჩავა

სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ამაგდარი პედაგოგის ქალბატონ

ვერუშა ვაშაკიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ.

სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლა

მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია მწუხარებას გამოთქვამენ ღვაწლმოსილი პედაგოგის

ვერუშა ვაშაკიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი მწუხარებით იუწყება პროფესიონალი პედაგოგის, ღვაწლმოსილი, ყველასათვის საყვარელი, ქალბატონის

ვერუშა ვაშაკიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი პედაგოგის, ქალბატონი

ვერუშა ვაშაკიძის

გარდაცვალების გამო.

ბეჟან გოგია ოჯახით თანაუგრძნობს ბაჩუკი და გოგა შედანიებს დედის, ქალბატონი

ვერუშა ვაშაკიძის

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მწუხარებას გამოთქვამენ ბატონი

მურად ფანცხავას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

აჩიკო შენგელია

და თანაუგრძნობს ოჯახს.

65 წლის წინ...

1953 წლის ივნისში თვითმფრინავის კატასტროფისას დაიღუპა ქართული კინოს მშვენება, აღიარებული კინომსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი ნატო ვაჩნაძე.

იმ საყოველთაო მწუხარებას, რომელმაც მაშინ სრულიად საქართველო მოიცვა, ბრწყინვალედ გამოხატავს ო. კუპრავას ლექსის სტრიქონები:

"ალბათ ვარსკვლავმა ეშხი გაგიყო _
ეცილებოდი მას ხომ ტოლივით,
ნუთუ თბილისი ღირსი არ იყო,
ენახე ნაზად თმებდათოვლილი.
არ დაიჯეროთ, გულს ხომ არ სჯერა,
ის თვითმფრინავი აგერ მოფრინავს,
მოულოდნელი ხანძრის გაჩენა
კინოსურათის კადრი ყოფილა".

ყველი არასოდეს გაუვა ნატო ვაჩნაძის საუცხოო არტისტიზმით შესრულებულ როლებს მხატვრულ ფილმებში, ეროვნული კინემატოგრაფიის ოქროს ფონდის კუთვნილებას რომ წარმოადგენს თითოეული.

ლევან გაბეჩავა

საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ფარგლებში

ნინო ნანიტაშვილი

19 მაისს სამტრედიაში პროექტ საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით მარათონი ჩატარდა.

მარათონში მონაწილეობის მისაღებად 300-მდე მსურველმა გაიარა რეგისტრაცია. მათ შორის იყვნენ პოლიციისა და რაიონული პროკურატურის თანამშრომლები.

სტარტი და ფინიში შინმოუსვლელი ჯარისკაცის დედის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე შესრულდა. გარბენის მანძილმა 2400 მეტრი შეადგინა. ვაჟებიდან ფინიშთან პირველი მესამე საჯარო სკოლის მოსწავლე ირაკლი მელქაძე მივიდა, შემდეგი იყო საბა ახალაძე, მესამემ ფინიშის ხაზი ტიტე ჯულაყიძემ გადაკვეთა.

გოგონებში მარათონის გამარჯვებული კარატისტი მანანა მუქერია გახდა, მეორე და მესამე ადგილები მარიამ ლევიძემ და მარიამ შენგელიამ აიღეს.

ბოლოს დაჯილდოვება გაიმართა. მარათონის ორგანიზატორებმა გამარჯვებულებს დიპლომები, მედლები და საქართველოს პროკურატურის წარწერიანი მაისურები გადასცეს.

სპორტულ ღონისძიებას მსაჯობდნენ პირველი საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი მალხაზ მხეიძე და მეორე საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი მიხეილ ქანთარია. მარათონის ორგანიზატორებმა მსაჯები ასევე დაჯილდოვეს დიპლომებითა და მაისურებით. დაჯილდოვდა ყველაზე პატარა მონაწილე ლუკა კანდელაკი.

სპორტულ ღონისძიებაში ჩართულები იყვნენ პოლიციისა და პატრულის თანამშრომლები, მობილიზებული გახლდათ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

ნახევარი საუკუნე,
სიმღერაში გაატარე,
შენი დახვეწილი ტემბრით,
სამტრედია გაახარე.

კინბოქსინგი ლამაზი ჩხუბი

თანდათან პოპულარული ხდება საქართველოში კინბოქსინგი და მიმდევრებიც მეტი და მეტი ჰყავს სპორტის ამ სახეობას.

_ 18-20 მაისს თბილისში საქართველოს 25-ე ერთვნული ჩემპიონატი ჩატარდა კინბოქსინგში, რომელიც სპორტის უნივერსიტეტში მიმდინარეობდა. მასში სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ვანო კილტავა) მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა და წარმატებითაც იასპარეზეს. _ გვეუბნება მწვრთნელ-მასწავლებელი კობა კიკაჩეიშვილი.

ჩემპიონატზე პირველი ადგილები წილად ხვდათ 20 წლის მიხეილ ხაზარაძეს და მე-8 საჯარო სკოლის მოსწავლეს, გიორგი კვანჭიანს.

მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ ზვიად კვანჭიანი და ლუკა კოპალეიშვილი (მე-8 საჯარო სკოლა). სამტრედიელი სპორტსმენები შესაბამისი დიპლომებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ.

ტურნირის გამორჩეულ მონაწილეს, გიორგი კვანჭიანს, სპეციალური თასიც გადაეცა.

თასითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა თავად მწვრთნელი კობა კიკაჩეიშვილი, რომელიც ექვსგზის საქართველოს, ოთხგზის საერთაშორისო და სამგზის ევროპის შესარჩევი ტურნირის გამარჯვებულია.

საკუთარ მიღწევებზე ახალგაზრდა მწვრთნელი მოკრძალებით საუბრობს, სპორტის ამ სახეობით იგი უკვე ცხრა წელია დაკავებულია. თავად მისი მწვრთნელი ბატონი მურთაზ ბებიაა. მსოფლიოს 8, საქართველოს 30-მდე ჩემპიონი ჰყავს აღზრდილი ბატონ მურთაზსო, გვეუბნება ბატონი კობა და სამოამავლო გეგმებზე საუბრობს.

ამჟამად სამტრედიელი კინბოქსინგელები საერთაშორისო ტურნირისათვის ემზადებიან, რომელიც "შავი ზღვის თასზე" გაიმართება ბათუმში, ყინულის სასახლეში.

მათდამი გამოჩენილი ყურადღებისათვის სპორტსკოლის ხელმძღვანელთა მისამართით ბევრი თბილი სიტყვა თქვა ჩვენთან საუბარში კობა კიკაჩეიშვილმა.

წარმატებებს ვუსურვებთ სამტრედიელ კინბოქსინგელებს, მათ მწვრთნელს მომავალ ასპარეზობებში.

ლევან გაბეჩავა

ვულოცავთ!

ნათელა ჯიმშელეიშვილს!

"სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში შინაურია ნათელა ჯიმშელეიშვილი. ჩვენთვის "ჭიამაიების დედოფალიც" გახლავთ. რატომ? ყოველი მისი სტუმრობა ჩვენთან ტკბილად იწყება და სრულდება. ჰოდა, ჩვენდამი დიდი სიყვარულის წილად ჩვენც გვიყვარს ძალიან! მის კიდევ ერთ დაბადების დღეზე გვინდა მოვეფეროთ და ვუთხრათ: გილოცავთ სიყვარულით, ჯანმრთელობის, ბედნიერების და სხვა კიდევ ბევრი სასიკეთო სურვილებით. ღიმილიანი გვენახე მუდამ ჩვენი და ჩვენი გაზეთის ერთგულო მეგობარო, ჩვენი ჭირისა და ლხინის თანაზიარო, პატივსაცემო ქალბატონო საუკეთესო პედაგოგობისთვის, კარგი თაობების აღზრდისთვის, მზრუნველი დედობისთვის, ბებიობისთვის.

ეიმედები და ყოველთვის მოუთმენლად გელოდება **"სამტრედიის მაცნე"**!



მარი თევზაძეს!

მოწინავე სტუდენტს, პერსპექტიულ ახალგაზრდას სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებები დაგებედოს.

გმეგზურობდეს უფალი!

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა